გაზეთი ბეჭდავს, „ვერსია“ ეხმიანება

ვერსია

№12 (1602) 30 მარტი — 5 აპრილი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

სამხარეო პროკურორის მოადგილემ მოსამართლის ბინაში ყოფილი ქურდი მოკლა

ვინ არის „ჩუქჩა“ – გასაიდუმლოებული გამოძიების დეტალები

31 მარტის თავისუფლების გაკვეთილები

რას გვაჩვენებს რუსეთის უკრაინაზე თავდასხმა, რატომ ჩამოვიდა აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ნიქსონი და რა პროვოკაციას გეგმავდა რუსული აგენტურა საქართველოში რეფერენდუმის დღეს

ლადო ბურდული უკრაინის მხარდასაჭერად საქველმოქმედო როკ-აქციებს გამართავს

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

ვახტანგ ძაბირაძე: „ნეიტრალიტეტის გამოცხადება იმას ნიშნავს, რომ რჩები რუსულ სივრცეში“

მიგვიღებს თუ არა ნატო – ვინ სპეკულირებს ნეიტრალიტეტით

პოლიციამ უკანონო იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია სამი და მხილებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, თბილისსა და რეგიონებში, ბოლო დროს ჩატარებული კომპლექსური საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1989 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ი.გ. დააკავეს. სამართალდამცველებმა, მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს: მაკაროვის სისტემის პისტოლეტი, მჭიდითა და 8 ვაზნით, ასევე, DREISE -ს ფირმის პისტოლეტი, მჭიდითა და 6 ვაზნით.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, 1973 წელს დაბადებული, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი რ.ო. დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 2 პისტოლეტი, მჭიდი და საბრძოლო ვაზნები ნივთმტკიცებად ამოიღო.

სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ბორჯომის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1974 წელს დაბადებული ა.გ. ბორჯომში დააკავეს. სამართალდამცველებმა, დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს: კალაშნიკოვის კონსტრუქციის 2 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, პისტოლეტი, შაშხანა, პნევმატური იარაღი, ასევე, სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 4 მჭიდი და 132 საბრძოლო ვაზნა.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თელავის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული გ.მ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე ამხილეს. პოლიციამ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, გ.მ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღო არარეგისტრირებული მცირეკალიბრიანი შაშხანა.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს. დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლიციამ თაღლითური ორგანიზებული ჯგუფის 13 წევრი დააკავა, რომლებიც ტურისტებს მოტყუებით შეკვეთილი მომსახურების შეუსაბამო დიდ თანხებს ახდევინებდნენ

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისის კლუბებში ტურისტებისგან დიდი ოდენობით თანხების დაუფლების თაღლითური სქემა გახსნა. ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თაღლითობის ბრალდებით, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები – 13 პირი დააკავეს.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები უცხოელი ტურისტების მიმართ ჩადენილი თაღლითური ქმედებით სოლიდურ შემოსავლებს იღებდნენ. ბრალდებულები ტურისტებს მოტყუებით, მუქარით, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლით, იძულებით ახდევინებდნენ შეკვეთილი მომსახურების შეუსაბამო, არარეალურად დიდ თანხებს. მათი დანაშაულებრივი ქმედებით სერიოზულად ილახებოდა საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის იმიჯი და ჩვენს ქვეყანაში არსებული უსაფრთხო გარემოს რეპუტაცია.

პოლიციამ რამდენიმეთვიანი ინტენსიური კომპლექსური საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავა: სომხეთის მოქალაქეები – 1997 წელს დაბადებული ა.ა., 1996 წელს დაბადებული ა.ს., 1997 წელს დაბადებული ტ.ჰ., ასევე, საქართველოს მოქალაქეები – 1998 წელს დაბადებული ნ.გ., 1982 წელს დაბადებული ხ.ბ., 2001 წელს დაბადებული ლ.წ., 1995 წელს დაბადებული თ.შ., 1991 წელს დაბადებული ვ.კ., 1996 წელს დაბადებული მ.გ., 1999 წელს დაბადებული ე.მ., 1987 წელს დაბადებული ნ.თ., 1999 წელს დაბადებული ნ.დ., 1999 წელს დაბადებული ნ.ხ.

მათ ბრალად ედებათ ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

დანაშაული 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული ქალები, რომლებიც თბილისში მდებარე კლუბებში – „ქალაქურსა“ და „როიალში“, ე.წ. პრომო გოგონებად მუშაობდნენ, სხვა ბრალდებულებთან – ამავე კლუბების მფლობელ ა.ა.-სთან, მენეჯერებთან – ა.ს.-სა და ტ.ჰ.-სთან შეთანხმებით, მეტი ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, საქართველოში ჩამოსულ უცხოელ ტურისტ მამაკაცებს თავს აპატიჟებინებდნენ და მათთან შეუთანხმებლად უკვეთავდნენ სხვადასხვა დასახელების სასმელსა და საკვებს. შემდეგ, თაღლითურ სქემაში ჩართულ მიმტანს უცხოელ ტურისტებთან მიჰქონდა ჩეკი და ბრალდებულები მათ მოტყუებით, იძულებით ახდევინებდნენ შეკვეთილი მომსახურების შეუსაბამოდ დიდ თანხებს.

სამართალდამცველებმა, კლუბი „როიალის“ ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს, სავარაუდოდ, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხები – 980 ლარი, 2 712 აშშ დოლარი, 1 815 ევრო, 64 500 რუსული რუბლი, 500 შვეიცარიული ფრანკი, 712 არაბული დირჰამი და 3 550 ავსტრალიური დოლარი.

ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, ასევე, ამოღებულია მობილური ტელეფონები, საბანკო ბარათები და სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია.

ტურისტების მიმართ განხორციელებული დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების საქმესთან დაკავშირებით, სხვა გარემოებების გამოკვეთისა და აღნიშნულ ფაქტებთან შემხებლობაში მყოფი სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით, გრძელდება ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებები.

საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, რაც გულისხმობს ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ თაღლითობას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.



31 მარტის თავისუფლების გაკვეთილები

ნინო დოლიძე

31 წლის წინ, როცა ქვეყანში რეფერენდუმი ჩატარდა და მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი საქართველოს დამოუკიდებლობას დაუჭირა, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ გავიდოდა სამი ათეული წელი და ე.წ. ნეიტრალიტეტის საკითხი ისევ აქტუალური გახდებოდა. ახლა, შესაძლოა, მავანმა, განსაკუთრებით მან, ვინც მართლმორწმუნე პუტინელია, იკითხოს, სად დამოუკიდებლობა და სად – ნეიტრალიტეტიო, მაგრამ თუ ყველაფერს სიღრმისეულად გავაანალიზებთ, მივხვდებით, დამოუკიდებლობა თავისთავად იმას ნიშნავს, რომ ნეიტრალური კი არ იყო, არამედ, ძლიერი მოკავშირე გყავდეს. ბოლოს და ბოლოს, ქართული ანდაზაც ხომ გვასწავლის, ძალა ერთობაშიაო.
სხვათა შორის, ამ ანდაზის ჭეშმარიტება უკრაინაში რუსი დამპყრობლების შესვლამაც დაამტკიცა ანუ მთელი მსოფლიო უკრაინის გვერდით დადგა და შესაბამისად, მითი, აი, რუსული არმია უძლეველია, დაიმსხვრა. ზოგადად, უკრაინის მოვლენები ნათელჰყოფს, რომ რუსეთის, როგორც უძლეველი „დერჟავის“ იმიჯი, მალე ისტორიის კუთვნილება გახდება და კრემლის დიდება შარშანდელი თოვლივით დასამარდება, თუმცა სანამ ეს მოხდება, მოდით, ცოტა ხნით წარსულში დავბრუნდეთ და 1991 წლის 31 მარტის ქრონიკას გადავავლოთ თვალი.

რას გვაჩვენებს რუსეთის უკრაინაზე თავდასხმა, რატომ ჩამოვიდა აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ნიქსონი და რა პროვოკაციას გეგმავდა რუსული აგენტურა საქართველოში რეფერენდუმის დღეს

მართალია, მას მერე ათასი უბედურება მოხდა – ძმათა მკვლელმა ომმა თბილისი დაანგრია, მხედრიონმა სამეგრელო გადაწვა და გადაბუგა, რუსეთმა ჩვენი მიწა-წყალი მიიტაცა, მაგრამ ყველაფერ ამის მიუხედავად, 1991 წლის 31 მარტი საქართველოს უახლეს ისტორიაში მაინც ოქროს ასოებით ჩაიწერება, რაც გასაკვირი არ არის, რადგან ისტორიული სამართლიანობა სწორედ ამ დღეს აღდგა ანუ საქართველოს პირველი პრეზიდენტის, აწ განსვენებული ზვიად გამსახურდიას ინიციატივით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმი, ესე იგი, საერთო-სახალხო კენჭისყრა ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა საქართველოს ყველა კუთხემ, მათ შორის, აფხაზეთმა და სამაჩაბლომაც მიიღო.

რეფერენდუმის დღეს, საარჩევნო უბნებზე ხალხის არნახული რაოდენობა მივიდა (3 334 236 მოქალაქე, მაშასადამე, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 90.79%) და აქედან, 99.08%-მა (3 295 493 მოქალაქე) კითხვას – „თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციის შესაბამისად?“ – დადებითად უპასუხა.

მართალია, რეფერენდუმის შედეგები ჩრდილოეთისთვის მოულოდნელი არ ყოფილა, მაგრამ კრემლთან ასოცირებულმა რუსულმა მედიამ საერთო-სახალხო კენჭისყრის, როგორც იტყვიან, „გატრიზავება“ სცადა და დაწერა, რეფერნდუმის დადებითი შედეგი 1 აპრილს გახდა ცნობილი. 1 აპრილი კი ხუმრობისა და ტყუილების დღეაო, თუმცა ის, რაც ჩრდილოელ „ძმას“ უნდოდა, ტყუილი ყოფილიყო, აგერ, უკვე 31 წელია, რეალობაა.

მეტიც, სწორედ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგი გახდა იმის საფუძველი, რომ 2017 წელს, საქართველოს ვიზალიბერალიზაცია მიეღო.

დიახ, ვინმეს უნდა თუ არა, ფაქტია: ორსაუკუნოვანი რუსული უღელი სწორედ ზვიად გამსახურდიამ გადატეხა და, მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი მსოფლიოს ზოგიერთი საჭეთმპყრობელი „დინების საწინააღმდეგო ცურვას“ აბრალებდა, მრგვალი მაგიდის ლიდერმა ევროპისკენ იგივე რეფერენდუმით დიდი ნაბიჯი გადადგა.

აქვე, ისიც აღსანიშნავია, რომ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების უტყუარობა არც მაშინ და არც მერე ეჭვქვეშ არავის დაუყენებია!

მერე, წლები რომ გავა, 31 მარტის მნიშვნელობა კიდევ უფრო თვალნათელი გახდება და ისტორიკოსები, ასევე, ანალიტიკოსები ერთხმად აღიარებენ, რომ ეს იყო პირველი და უკანასკნელი რეფერენდუმი, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ჩათვლით ჩატარდა ანუ უფრო მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ, ეს რეფერენდუმი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს!

სწორედ ამიტომ, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი საქართველოს კონსტიტუციაშიც ფიგურირებს. კერძოდ, კონსტიტუციის პირველი თავის პირველი მუხლის პირველივე პუნქტში წერია:

„საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით“.

მოგეხსენებათ, ისტორიას დეტალები უყვარს და რაკიღა 31 მარტი ისტორიული თარიღია, სჯობს, დეტალებს ჩავუღრმავდეთ და დოკუმენტებზე დაყრდნობით ისიც აღვნიშნოთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას მხარი რეფერენდუმში მონაწილეთა მხოლოდ 0.51%-მა არ დაუჭირა.

რაც შეეხება დღეს ოკუპირებულ აფხაზეთს, 31 მარტის რეფერენდუმში მონაწილეობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის 61.27%-მა მიიღო, საიდანაც 97.73%-მა მხარი საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას დაუჭირა.

ისტორიული დოკუმენტების მიხედვითვე, გუდაუთის რაიონის ადგილობრივმა ხელისუფლებამ რეფერენდუმში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ამიტომ, გუდაუთის რაიონში მხოლოდ ერთი საარჩევნო უბანი – ახალსოფელში გაიხსნა. ტყვარჩელის ადგილობრივმა ხელისუფლებამ კი რეფერენდუმში მონაწილეობის სურვილი მაშინ გამოთქვა, როცა საარჩევნო უბნებისა და კომისიების შექმნის ვადა უკვე ამოწურული იყო.

ვერ ვიტყვით, რომ მაშინდელ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქში, 31 მარტს ექსცესები არ ახლდა. ყოველ შემთხვევაში, ქალაქ ცხინვალში, ასევე, ყორნისისა და ჯავის რაიონებში რეფერენდუმი არ ჩატარებულა. ცხინვალის რაიონში კი რეფერენდუმი 7 სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე ჩატარდა, სადაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 11 376 იყო. რეფერენდუმში მონაწილეობა 10 182 ამომრჩეველმა მიიღო. ამ გაცემული ბიულეტინებიდამ ორი ბათილად იქნა ცნობილი. სარეფერენდუმო კითხვას დადებითი პასუხი კი 10 180 ამომრჩეველმა გასცა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ნებისმიერი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი, თუკი 31 მარტის რეფერენდუმით ჩამოყალიბებულ სამართლებრივ რეალიებს არ გაითვალისწინებს, ბათილად იქნება ცნობილი.

ისე, მოგვიანებით ანუ მას შემდეგ, რაც საქართველოში ე.წ. ეთნიკურ ნიადაგზე ცხელი წერტილები გაჩნდება, რასაც აფხაზეთსა და იგივე სამაჩაბლოში საომარი მოქმედებები მოჰყვება, სეპარატისტული მოძრაობის ლიდერები შეეცდებიან, შექმნან ფონი, რომ 31 მარტის რეფერენდუმი მხოლოდ ქართველი ერის ნებას გამოხატავდა, თუმცა ყველა, ვინც იურისპრუდენციაში მეტ-ნაკლებად ერკვევა, აღიარებს, რომ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი საქართველოს მრავალეროვანი მოსახლეობის დამოკიდებულებას ასახავს, რაც იმითაც დასტურდება, რომ კენჭისყრაში მხოლოდ ქართველები კი არა, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური არაქართველებიც მონაწილეობდნენ.

დასასრული მე-4 გვერდზე

31 მარტის თავისუფლების გაკვეთილები

მე-3 გვერდიდან

ამასთან, ისიც მნიშვნელოვანია, რომ 31 მარტის რეფერენდუმის საკითხში გამსახურდიას მხარს ოპოზიციაც, მათ შორის, მხედრიონიც უჭერდა.

მოკლედ, 31 მარტი – არც მეტი, არ ნაკლები – საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის იურიდიული გარანტიაა ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, სწორედ 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები გახდა სამართლებრივი საბაბი, რომ იმავე წლის 9 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღედგინა.

მერე, წლები რომ გავა, ეროვნული მოძრაობის ძირძველი წარმომადგენელი, აფხაზეთში, მერაბ კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარე, საზოგადეობა დაბრუნების წევრი და აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, რევაზ კემულარია ერთ-ერთ ინტერვიუში იტყვის:

„1991 წლის 31 მარტს, საქართველოს ისტორიაში, პირველად ჩატარდა პირველი რეფერენდუმი, რომელზეც დასმული იყო ერთადერთი შეკითხვა: „გსურთ თუ არა, საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო იყოს?“ რეფერენდუმის დანიშვნის დროს, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია გახლდათ... ყველაფერი ძალიან სწრაფად მომზადდა და მახსოვს, მხოლოდ უზენაეს საბჭოში კი არა, მთელ ქვეყანაში საოცარი ერთსულოვნება სუფევდა“.

სხვათა შორის, სწორედ მაშინ, როცა საქართველოს მოსახლეობა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის მომავალს წყვეტდა, საქართველოს აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი, რიჩარდ ნიქსონი ეწვია. რევაზ კემულარიას თქმით, ეს უბრალო დამთხვევა არ ყოფილა ანუ ნიქსონს თბილისში გამოსვლის სურვილი თავად გამოუთქვამს.

„როცა თბილისში აშშ-ის დელეგაცია ჩამოვიდა, რუსეთის აგენტურამ კინოს სახლთან მიტინგი მოაწყო და მერე ამბობდა, პოლიციამ გვესროლაო... უსახო აგენტები თხუნელებივით გამოძვრნენ და რეფერენდუმის ჩაშლა უნდოდათ... ისეთებიც იყვნენ, რომლებიც გაძახოდნენ, ჯერ დემოკრატია, შემდეგ – თავისუფლებაო“, – იხსენებს ერთ-ერთ ინტერვიუში ეროვნული მოძრაობის ძირძველი წარმომადგენელი. მისივე თქმით, ისიც მოგონილი და ჭორია, რომ ნიქსონი თითქოს ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ წავიდა: **„სინამდვილეში, ნიქსონთან საუბარი წარიმართა ძალიან დადებითად. გამსახურდია დასავლეთს სთხოვდა აღიარებას და ეს აღიარება მოხდა!“**

რევაზ კემულარიას ამავე ინტერვიუში ვკითხულობთ:

„რუსულ საინფორმაციო საშუალებებში ამბობდნენ, რომ საქართველო რუსეთმა გადაარჩინა და დღეს რომ ერი გადაშენებული არაა, მისი დამსახურებაა. სინამდვილეში, ყველაფერი პირიქით იყო – რუსეთი ჩვენს სახელმწიფოებრიობას ყოველთვის ხელს უშლიდა და მისთვის ძალიან რთული იყო იმის ყურება, როგორ კარგავდა იმპერია გავლენას. საერთოდ, რუსეთის ხელწერა ნგრევა, „გათიშე და იბატონეა“. ეს ხელწერა, რა თქმა უნდა, მაშინაც იგრძნობოდა, რადგან კრემლს არ აწყობდა დამოუკიდებელი საქართველო და ყველა ღონეს ხმარობდა, რომ სიტუაცია, რეფერენდუმი ჩაშლილიყო და დამოუკიდებლობა არ გამოგვეცხადებინა. სწორედ ამ მიზნით, რუსული მედიით ვრცელებოდა დეზინფორმაცია, რომ თითქოს სხვა ეროვნების მოქალაქეებს – სომხებს, აზერბაიჯანელებს, რუსებს ვჩაგრავდით... ეს წმინდა წყლის ტყუილი გახლდათ. მაშინ საზოგადოებრივად ძალიან აქტიური ვიყავი. არ არსებობს ოჯახი, სადაც არ მივსულვართ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, აგიტაცია არც დაგვჭირვებია_– ყველა თავისუფლებას იყო მოწყურებული და დამოუკიდებლობას ორგანულად ითხოვდა. ამიტომაც, რეფერენდუმში მონაწილეობა აფხაზებმაც მიიღეს და ხმა საქართველოს დამოუკიდებლობას მისცეს, მაგრამ სამწუხაროდ, შემდეგ ის მოხდა, რაც მოხდა...

დამოუკიდებლობა რომ გამოვაცხადეთ და ფიქრი ინვესტორების მოზიდვაზე დავიწყეთ, რუსეთმა, თავისი აგენტურული ქსელის გამოყენებით, აი, ზუსტად ამ მომენტში დაგვარტყა. ეს აგენტურული ქსელი იმხელა ყოფილა, რომ ვერც წარმოვიდგენდი“...

ასე და ამგვარად: ასეთია ერთი ფურცელი საქართველოს უახლესი ისტორიიდან, ფურცელი, რომელმაც წეღანდელი თქმისა არ იყოს, დღევანდელი ვიზალიბერალიზაცია მოიტანა. ამიტომ, ზოგიერთისგან იმის მტკიცება, რომ საქართველომ ევროატლანტიკური სივრცისკენ ყურება „ვარდების რევოლუციის“ მერე დაიწყო, მინიმუმ, უხერხულია. ზოგს მზიასა და ზეზვას ამბავიც მითი ჰგონია, მაგრამ ჩვენ, ქართველები და საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლები რომ უძველესი ევროპელები ვართ, ამას არაერთი ისტორიული ფაქტი მოწმობს. შესაბამისად, ევროპეიზმის იდეაზე ვინმეს მიერ მონოპოლიის აღება, მომიტევეთ და, ქაჯობაა!

საქართველოს ევროპისკენ მიმავალ გზაზე, ყველა თაობამ და ხელისუფლებამ თავისი წილი აგური დადო. ამ კონტექსტში, ალბათ, არც ქართველი მწერლების ე.წ. „სამოციანელთა თაობა“ უნდა დაგავვიწყდეს – დიახ, სწორედ „სამოციანელებმა“ ჩაუყარეს კომუნისტურ საქართველოში სიმართლის თქმას საფუძველი. ახლა, ამაზე აქცენტირება ვინმეს, იქნებ, არც მოეწონოს, მაგრამ იგივე ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“, გურამ ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“ თუ ჯანსუღ ჩარკვიანის „თავისუფლება ლომთა ხვედრია“, სწორედ გაგანია კომუნისტურ ეპოქაში ანუ იმ დროს შეიქმნა, როცა ქვეყანა, ჯანსუღ ჩარკვიანის თქმისა არ იყოს, „ინაურებითა და შინაურებით“ იყო სავსე. 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი კი ყველაფერ ამის ლოგიკური დაგვირგვინება გახლდათ. სამწუხარო ისაა, რომ ამ თარიღის მნიშვნელობა ბევრმა ახალბედა პოლიტიკოსმა არ იცის, თუმცა ეს „არცოდნა“ რეალობას ვერ ცვლის – 31 მარტმა საქართველოს ბედი გადაწყვიტა!

ხვალ 31 მარტია, დღე, როცა 26 წლის წინ, ჩვენი სამოთხის მზე, ამოსვლა დაიწყო და ტყვიაც მიზანში მოვარტყით – ჩვენ მონობას თავისუფლება ვამჯობინეთ!

ასე რომ, ქალბატონებო და ბატონებო, გილოცავთ და დაე, გვახსოვდეს სახალხო პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის შეგონება:

„ძლივს, ძლივს ამოდის
მთვარე სამოთხის,
ტყვია მიზანში მოსახვედრია,
თავისუფლება ისე არ მოდის,
თავისუფლება ლომთა ხვედრია!“

ვახტანგ ძაბირაძე: „ნეიტრალიტეტის გამოცხადება იმას ნიშნავს, რომ რჩები რუსულ სივრცეში“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

მიგვიღებს თუ არა ნატო – ვინ სპეკულირებს ნეიტრალიტეტით

უნდა გამოაცხადოს თუ არა საქართველომ ნეიტრალიტეტი რუსეთისგან საფრთხის ასარიდებლად იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ ნატო, ჯერჯერობით, საქართველოს შეერთების გადაწყვეტილებას არ იღებს, – ესაა ბოლო დღეებში, განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა. ნეიტრალიტეტის საკითხი რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე წამოიჭირა. ასევე, აქტიური განხილვის საგანია ისიც, რა გადაწყვეტილებას მიიღებს უკრაინა ნეიტრალიტეტთან დაკავშირებით. ნეიტრალური სახელმწიფოს სტატუსის მიღება ავტომატურად ნატო-სა და ევროკავშირზე უარის თქმას ნიშნავს, რაც საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, გამორიცხულია, რადგან 2017 წელს, კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ ევროკავშირისა და ნატო-სკენ საქართველოს სვლა, საქართველოს მოსახლეობის ნების გათვალისწინებით, სავალდებულოა და მას ყველა მმართველი ძალა უნდა დაემორჩილოს. ამის გათვალისწინებით, საკითხავია, რატომღა გახდა აღნიშნული საკითხი განხილვის საგანი და რამდენადაა მზად საქართველო, ყველა ასპექტის გათვალისწინებით, ნეიტრალურ სტატუსზე იმსჯელოს? – „ვერსია“ ანალიტიკოსებს ესაუბრა.

კონსტიტუციონალისტი **ლევან ალაფიშვილი** აცხადებს, რომ საქართველოს კონსტიტუციაში გაკეთებული ჩანაწერის გამო, საქართველოში ნეიტრალიტეტის თემა დახურულია:

„სამწუხაროა, რომ ეს თემა, სავარაუდოდ, რუსეთისა და მისი მხარდამჭერების მეცადინეობით იშლება და მსჯელობის საგანი ხდება, არადა, დიდი ხანია, ეს საკითხი დახურულია, რადგან გვაქვს მოცემულობა, რომელიც ვერ შეიცვლება უახლოესი წლების განმავლობაში. პოლიტიკური სურათი მაქვს მხედველობაში, კერძოდ, საერთო სახალხო ნება უკვე გამოხატულია საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, კონსტიტუციაში ღიად წერია, რომ ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაცია ყველა სახელმწიფო კონსტიტუციური ორგანოს ვალდებულებაა. შესაბამისად, ყველა მთავრობა, როგორი პოლიტიკური გემოვნებისაც უნდა იყოს, კონსტიტუციას უნდა დაემორჩილოს და შესაბამისად, იმოქმედოს საქართველოს ნატო-ში, ევროკავშირში გასაწევრიანებლად. მე თუ მკითხავთ, ჯერ ევროკავშირში და შემდეგ – ნატო-ში, რადგან თუ ევროკავშირის კრიტერიუმებს დავაკმაყოფილებთ, ეს უკვე ნატო-ს წევრობისკენ გადადგმული უდიდესი ნაბიჯი იქნება და ალიანსში გაწვრიანება ფორმალობაღა იქნება.

ასე რომ, საქართველოში ნეიტრალიტეტის გამოცხადების თემა დახურულია და ხელისუფლების წარმომადგენლები ჩუმად არიან, თუმცა რეალურად, არ მგონია, რომ თემა მათი მეცადინეობის გარეშე იშლებოდეს მედიაში“.

* * *

„ვერსია“ ვახტანგ ძაბირაძესაც ესაუბრა, რომელიც 2017 წელს, საკონსტიტუციო კომისიის წევრი იყო:

– ეს კონსტიტუციაში ცალსახადაა ჩაწერილი. ვერ გეტყვით, რომ მაშინ ამის ძალიან დიდი მომხრე ვიყავი იმიტომ კი არა, რომ იმას ველოდი, ჩვენი პროდასავლური ორიენტაცია შეიცვლებოდა, უბრალოდ, როცა ამას აკეთებ, სპეკულაციის სუნი ასდის და არა – სერიოზულობის. ამიტომაც არ ვიყავი დიდად მომხრე, თუმცა უმრავლესობამ ასე გადაწყვიტა, რადგანაც ხომ იცით, რა ვითარებაა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში – მუდმივი ბრალდებებია და ორივე მხარეს თუ დავუჯერებთ, გამოდის, რომ ორივე რუსი ყოფილა...

მოკლედ, ეს ვალდებულება გაჩნდა კონსტიტუციაში და რა თქმა უნდა, გამორიცხავს ნეიტრალიტეტის თემას. თუ არადა, უნდა შეიცვალოს კონსტიტუცია და ამოღებულ იქნას ეს ნაწილი, მაგრამ თუ ხელისუფლება გადაწყვეტს, რომ ნეიტრალიტეტზე დაიწყოს საუბარი, ასეც მოიქცევა და გვერდის ასაქცევი გზა არაპირდაპირ, მაგრამ მაინც ექნება. პოლიტიკურ განცხადებას გააკეთებს...

– საკონსტიტუციო ცვლილებას სჭირდება საკონსტიტუციო უმრავლესობა, რომელიც ახლა მმართველ ძალას არ აქვს...

– საკონსტიტუციო ცვლილებას კი არ შეიტანენ, პოლიტიკურ განცხადებას გააკეთებს ხელისუფლება, თუ ამ გზით წავა, შესაცვლელია კონსტიტუცია, გვინდა ნეიტრალიტეტიო... თუ უკრაინის მაგალითს ავიღებთ, იქ რუსეთი არ ეუბნება, კონსტიტუციაში შეიტანეთ ცვლილებაო...

– ესე იგი, პოლიტიკურ ნებაზეა საუბარი?

– დიახ.

– ბატონო ვახტანგ, ეკონომიკური, გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და ყველა სხვა ასპექტის გათვალისწინებით, რამდენად რეალურია, საქართველოში ნეიტრალიტეტის სტატუსის საკითხი განიხილებოდეს?

– დღეს ნეიტრალიტეტის გამოცხადება იმას ნიშნავს, რომ რჩები რუსულ სივრცეში და ეს ცალსახაა. იმიტომ ცდილობს რუსეთი ნეიტრალობაზე დაითანხმოს ქვეყნები, რომ მისი გავლენის ქვეშ მოაქციოს. ეს პირველი ნაბიჯი იქნება, რომ შემდეგ მართლა აღადგინოს საბჭოთა კავშირი, უფრო სწორად, აქ საუბარია უარესზე – რუსეთის იმპერიაზე. ის, რასაც რუსეთი ითხოვს, პირველ ეტაპზე იქნება ნეიტრალიტეტი, ამას არ დასჯერდება და მოითხოვს სამხედრო ფორმირებების დაშლას, რათა საფრთხე არ შეექმნას... 1956 წლამდე არსებობდა ნაციონალური სამხედრო შენაერთები, მათ შორის, საქართველოში იყო ქართული დივიზია. 1956 წლის მარტის მოვლენების შემდეგ, საერთოდ გააუქმეს ნაციონალური შენაერთები, როგორც კი გაჩნდა საფრთხე, რომ შესაძლებელი იყო, ეს იმ ძალად გადაქცეულიყო, რომელიც ქუჩაში გამოსულ ძალას მხარს დაუჭერდა. ამიტომ, ძალიან კარგი საშუალება გვაქვს ანალიზისთვის, თუ რას ითხოვს რუსეთი უკრაინისგან. ამ ანალიზს თუ გავყვებით, პირველი ეტაპი იქნება ნეიტრალიტეტი; მეორე ეტაპი – „ლუკაშენკოები“ ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში და მესამე ეტაპი იქნება ის, რასაც ეხვეწება ლუკაშენკო რუსეთს, გავერთიანდეთო...

– აქვე ჩნდება კითხვა – თუ საქართველოს ნატო არ იღებს, რა გამოსავალი რჩება იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ პროდასავლური ორიენტაცია და პარალელურად, გავუძლოთ რუსეთისგან წნეხსა და მოსალოდნელ საფრთხეს?

– ნატო-ში გაწევრიანება გვინდა იმიტომ, რომ გვინდა უსაფრთხოება და დაცვა რუსეთისგან. ნატო მიგვიღებს თუ არა, ისედაც რუსეთის პირისპირ ვრჩებით... შეიძლება, ნატო დღეს არაა მზად, რომ მიგვიღოს, მაგრამ შესაძლოა, ხვალ პოლიტიკური პროცესები ისე განვითარდეს, რომ ეს სიტუაცია მოულოდნელად გადაწყდეს. მაშინ გვექნება საშუალება, გავხდეთ ნატო-ს წევრი და მივიღოთ ეს დაზღვევა. თუ წავალთ ნეიტრალიტეტის გზით, ეს ხსნა აღარ გამოჩნდება.

– ადვილად აღსაქმელი რომ იყოს, უკრაინის მაგალითი განვიხილოთ – უკრაინა არაა ნატო-ს წევრი და არც ნეიტრალიტეტი აქვს გამოცხადებული, ვხედავთ, რომ დასავლური სამყაროს მხარდაჭერა უკრაინის მიმართ უპეცედენტოდ მასშტაბურია... უკრაინას რომ ნეიტრალიტეტი ჰქონდეს გამოცხადებული, რუსეთთან ომი მაინც მოუწევდა და მსგავს მხარდაჭერას დასავლეთისგან ვერ მიიღებდა, არა?

– დიახ, ამის თქმას ვცდილობ. მხარდაჭერა მაინც ექნებოდა, მაგრამ არა ამ მასშტაბის, როგორიც დღეს აქვს. გახსოვთ, ომის დაწყების წინ, რა მოითხოვა პუტინმა? გასაგებია, უკრაინისგან რას ითხოვდა, მაგრამ აქ არ გაჩერდა და თქვა, 97 წელს დავუბრუნდეთო, რაც იმას ნიშნავს, რომ მთელი აღმოსავლეთ ევროპის თემა დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ. გაბედავს თუ არა ნატო-სთან ომს პუტინი, ეს ცალკე განხილვის თემაა, მაგრამ საკითხი ასე დადგა – დასავლეთი გრძნობს თავის თავზე ამ საფრთხეს და საშიშროებას. ჩვენც გამოგვიცხადეს მხარდაჭერა 2008 წელს, თუმცა არა ამ მასშტაბის, რა თქმა უნდა, მაგრამ აქ ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი... ავღანეთშიც რომ შეიჭრა საბჭოთა კავშირი, მაშინაც დაუწესეს ეკონომიკური სანციები... დღესაც უფრო შორს არ წავა დასავლეთი ამ ეტაპზე, მაგრამ არ ვიცით, რა იქნება ხვალ... ამიტომ, თემა, რომ გამოვაცხადოთ ნეიტრალიტეტი და ეს ხელს არ შეგვიშლის, არ მგონია, სწორი მიდგომა იყოს, რადგან ეს საფრთხე კი არ გვაცილებს, არამედ, მასთან გვაახლოებს. ის, კავშირები, რაც გვაქვს, თუ გაწყდება, მაშინ არაფერი აღარ გვრჩება. გამოვაცხადებთ თუ არა ნეიტრალიტეტს, ეს იმ საფრთხეებისგან ვერ და არ დაგვიცავს, რა საფრთხეებიც რუსეთისგან მოდის.

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ანა ბუჩუკური: „აღარაფერს გამოვრიცხავ“

რას გულისხმობს უმრავლესობის მიერ დაინიცირებული კანონპროექტი, რომლითაც საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები უნდა დაზუსტდეს

„მმართველმა გუნდმა დააინიცირა კანონპროექტი, რომლითაც ზუსტდება საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები... კანონპროექტი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მოქმედ კანონს, აზუსტებს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებს და ამით უზრუნველჰყოფს მოქმედი კანონის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის აღმოფხვრას, – განაცხადა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა და ოპოზიციური პარტიების კრიტიკასაც უპასუხა, – აცხადებენ, რომ მართალია, კანონპროექტი სამართლებრივად გამართულია, მაგრამ ის ქმნის სამართლებრივ ინსტრუმენტს საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ ანგარიშსწორებისთვისო. გაუგებარია, როგორ შეიძლება ანგარიშსწორების ინსტრუმენტად განიხილო ცვლილება, რომელიც პრეზიდენტის მიმართ არავითარი სანქციის შეფარდების შესაძლებლობას არ იძლევა და მეტიც, მისი კონსტიტუციური უფლებამოსილებების სრულფასოვნად რეალიზებასაც უზრუნველჰყოფს! ახალი ნორმა საკონსტიტუციო სასამართლოს აძლევს მხოლოდ იმის შესაძლებლობას, რომ სამართლებრივად შეაფასოს, შეესაბამება თუ არა ამა თუ იმ კონსტიტუციურ ორგანოს, მათ შორის, პრეზიდენტის მოქმედება თუ უმოქმედობა საქართველოს კონსტიტუციას“.

საგულისხმოა, რომ კანონპროექტის დარეგისტრირებას წინ ევროპიდან დაბრუნებული სალომე ზურაბიშვილის მწვავე საპარლამენტო გამოსვლა უძღოდა. ამის შემდეგ, მმართველმა გუნდმა გაავრცელა განცხადება, სადაც პრეზიდენტ ზურაბიშვილის მიერ კონსტიტუციის სავარაუდო დარღვევასა და კომპეტენციის გადამეტებაზე იყო საუბარი. იგულისხმება პრეზიდენტის შეხვედრები დასავლელ პარტნიორებთან, რაც მმართველი გუნდის განმარტებით, მასთან შეუთანხმებლად წარმართა. მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ განცხადებაში აღნიშნა, რომ საკითხის გასარკვევად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს. რას გულისხმობს უმრავლესობის მიერ დაინციირებული საკანონმდებლო ცვლილება და უკავშირდება თუ არა აღნიშნული პრეზიდენტ ზურაბიშვილის მიერ, რუსეთ-უკრაინის ომის დროს გამოვლენილ ქმედებებს, რაც დასავლელ პარტნიორებთან შეხვედრასა თუ კრიტიკულ საპარლამენტო გამოსვლაში გამოიხატა? – გთავაზობთ ინტერვიუს პარტია საქართველოსთვის ერთ-ერთ ლიდერთან, დეპუტატ ანა ბუჩუკურთან:

– ამ კანონპროექტს ორი მდგენელი აქვს – პოლიტიკური და იურიდიული. რა თქმა უნდა, ამ ვითარებაში პოლიტიკური მდგენელი უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ყველამ ვნახეთ, როგორ გაღიზიანდა „ქართული ოცნება“ პრეზიდენტის ბოლოდროინდელი ქმედებებით. იმას ვგულისხმობ, რომ ქალბატონმა ზურაბიშვილმა, უკრაინაში ომის დაწყების პირველივე დღიდან, განსხვავებით „ქართული ოცნებისგან“, დაიკავა ღირსეული პოზიციონირება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. ეს იყო საჯარო კომუნიკაციისას პოზიციონირება; შეხვედრები ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან; საქართველოს მოქალაქეებისთვის მიმართვა რუსთაველის გამზრიდიან და ბოლოს, ეს იყო ძალიან სამართლიანი მიმართვა საქართველოს პარლამენტში. პრეზიდენტის საპარლამენტო გამოსვლიდან მეორე დღეს ვნახეთ მმართველი გუნდის სამარცხვინო განცხადება, სადაც პირდაპირ ამბობდნენ, რომ ყველაფერ ამას გაარკვევდნენ საკონსტიტუციო სასამართლოში. ეს ერთგვარი მუქარა იყო საქართველოს პრეზიდენტის მიმართ.

ამ განცხადების მერე, როგორც ჩანს, ჩახედეს საქართველოს კონსტიტუციას, კანონმდებლობას და აღმოაჩინეს, რომ შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი არ ჰქონდათ, პრეზიდენტის საერთაშორისო პარტნიორებთან კომუნიკაცია გაესაჩივრებინათ საკონსტიტუციო სასამართლოში, რადგან ამას იურიდიულად სჭირდება, რომ პრეზიდენტის მხრიდან რაიმე სამართლებივი აქტი ყოფილიყო გამოცემული და ეს აქტი წარედგინათ სასამართლოში. აღმოაჩინეს, რომ თურმე, სამართლებივი საკანონმდებლო საფუძველი ამ საჩივრისთვის არ ჰქონდათ და „გადაიფიქრეს“, განაცხადეს, არ ვუჩივით, როდის ვთქვით, რომ ვუჩივით პრეზიდენტსო... შემდეგ, უცებ დააინიცირეს ეს საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ამ შემთხვევაში, „ქართულ ოცნებას“ აძლევს სამართლებრივ საფუძველს, არა მხოლოდ სამართლებრივი აქტი გაასაჩივროს საკონსტიტუციო სასამართლოში, არამედ, მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი ჩანაწერი ისაა, რომ ამ შემთხვევაში, პრეზიდენტის მოქმედება თუ უმოქმედობა შეუძლიათ, გაასაჩივრონ საკონსტიტუციო სასამართლოში.

მეორე საკითხია – უკუძალას გაავრცელებენ თუ მომავლისთვის უკეტავენ ნებისმიერ თანამდებობის პირს თავისუფლად მოქმედების არეალს, მაგრამ ამას პოლიტიკური დანიშნულება რომ აქვს და კონკრეტულად პირდაპირ უკავშირდება პრეზიდენტს და მის გარშემო განვითარებულ მოვლენებს, ეს ცხადზე ცხადია.

– რას იტყვით კანონპროექტის იურიდიულ მდგენელზე?

– საკონსტიტუციო სასამართლოს რეალური კონტროლის ერთგვარი ელემენტები შემოაქვთ, მაგრამ ამას აკეთებენ ამოგლეჯილად ანუ რეფორმის სახით კი არ გვთავაზობენ, სადაც ჩართულობა იქნებოდა ექსპერტების, არამედ, როგორც ჩანს, სამი კაცი დაჯდა, როგორც სჩვევიათ ხოლმე, რაღაც დაწერეს და ახლა გვეუბნებიან, ძალიან კარგ საქმეს ვაკეთებთო. მოკლედ, იურიდიულ ნაწილში, უბრალოდ, არ შევალ, რადგან სასაცილოა და რეფორმები ასე არ ტარდება. ეს საკითხი ჰგავს იმას, წინა წლის დეკემბერში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ჩუმად დაწერილი კანონით რომ გააუქმეს. მაშინაც ამბობდნენ, კარგ საქმეს ვაკეთებთო, მაგრამ ეს ხომ არავის დაუჯერებია?! შესაბამისად, იურიდიულ ნიუანსებზე საუბარი არასერიოზულია, ამას აქვს მთავარი პოლიტიკური მდგენელი.

– საინტერესოა, ამ კანონის მიღებისთვის საკმარისი ხმა გააჩნია თუ არა უმრავლესობას და თქვენი პარტია დაუჭერს თუ არა მხარს კენჭისყრის დროს?

– კი, ეს ორგანული კანონია და კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა არ სჭირდება. შესაბამისად, სჭირდება 76 დეპუტატის ხმა და ხმები ეყოფათ. რაც შეეხება ჩვენს მხარდაჭერას, რა თქმა უნდა, ეს არ მოხდება, რადგან გასაგებია, ყველაფერი რისთვისაც კეთდება. ვიმეორებ, ეს არის მორიგი იერიში „ქართული ოცნების“ მხრიდან, ვებრძვი და პროცედურულ ომს ვუცხადებ ყველას, ვინც ჩემს პარტიულ ვერტიკალს არ ექვემდებარებაო.

– თუ ეს კანონპროექტი მიიღეს და მართლაც მიმართეს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეზიდენტის კომპეტენციის დარღვევის გამოსაკვლევად, შემდეგ იმპიჩმენტის საკითხი ავტომატურად დგება?

– არა, ეს სხვადასხვა პროცედურაა. იმპიჩმენტის პროცედურა ცალკეა გაწერილი – 50 დეპუტატი მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც მსჯელობს დანაშაულის ან კონსტიტუციის დარღვევის არსებობაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა ბრუნდება პარლამენტში და შემდეგ სჭირდება 100 დეპუტატის ხმა, რომ საბოლოოდ, პარლამენტმა გადაწყვიტოს, დააკისროს თუ არა პოლიტიკური პასუხისმგებლობა პრეზიდენტს. 100 დეპუტატი კი „ქართულ ოცნებას“ დღეს არ ჰყავს.

ძალიან გულწრფელი რომ ვიყო, როცა თავიდან დაიწყო იმპიჩმენტის შესახებ საუბარი, მაშინაც ვთქვი და თქვენთანაც გავიმეორებ, რომ ნაციონალური მოძრაობაც იმდენად გაღიზიანდა ქალბატონ ზურაბიშვილზე იმიტომ, რომ იცით პრეზიდენტის დამოკიდებულება, მაგალითად, მიხეილ სააკაშვილის შეწყალებასთან და ზოგადად, ენმ-სთან მიმართებით, მაშინ ნახევრად ხუმრობით ვამბობდი და ახლაც ვამბობ, სულ არ გამიკვირდება, „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა პრეზიდენტის წინააღმდეგ გაერთიანდნენ და ერთგვარი „კოალიცია“ შექმნან მისი თანამდებობიდან გადასაყენებლად, მაგრამ როგორც ჩანს, წავიდნენ სხვა გზით, რაც გულისმხობს იმას, რომ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს და ეს უკანასკნელი დაადგენს, დაარღვია თუ არა კონსტიტუცია ანუ შეიჭრა თუ არა სხვის უფლებამოსილებაში, გადაამეტა თუ არა საკუთარ უფლებამოსილებას პრეზიდენტმა ანუ თეორიულად დადგინდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, პრეზიდენტის ქმედება რამდენად ჯდებოდა კონსტიტუციის ფარგლებში. ამათგან მართლა აღარაფერს გამოვრიცხავ, მაგრამ როგორც ჩანს, ამ ეტაპზე, ამ გზით წავიდნენ და არა – იმპიჩმენტის.

ლადო ბურდული უკრაინის მხარდასაჭერად საქველმოქმედო როკ-აქციებს გამართავს

მაკა რუხაძე

„უკრაინის მხარდასაჭერად დავიწყეთ ერთობლივი აქციის ჩატარება Leno Records & Planet Lemon-თან ერთად. „ხმა იაღარის წინააღმდეგ“ – სათავეს იღებს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან, როცა რუსეთმა თავისი იმპერიალისტური ამბიციების გამო, გადაწყვიტა, დაესაჯა საქართველო დამოუკიდებლობასა და დემოკრატიაში მიღწეული წარმატებებისთვის, რის გამოც დღემდე აქვს ოკუპირებული საქართველოს 20%.

ზუსტად ანალოგიური მიზეზების გამო, დღეს, ამ იმპერიალისტურ ქვეყანას დაწყებული აქვს თავისი ახალი კამპანია უკრანის დემოკრატიისა და თავისუფლების გასანადგურებლად და თავის გავლენის სფეროში დასაბრუნებლად. იღუპებიან უდანაშაულო ბავშვები და მოსახლეობა, ნადგურდება ერთ დროს აყვავებული ქალაქები. ყოველი კვირის ბოლოს, ჩვენ ჩავატარებთ ჩვენი აქციების სერიას „ხმა იარაღის წინააღმდეგ“, სადაც ყოველ აქციაზე, გამოვა ორი ჯგუფი – ქართული და უცხოური... აქცია გაშუქდება ინტერნეტ-ლაივის საშუალებით.შემოსული შემოწირულობა გადაირიცხება უკრაინის მხარდასაჭერ ფონდში“, – ასე მიმართა მსმენელებს მუსიკოსმა ლადო ბურდულმა და 1 აპრილს, როკ-აქციის „პირველ სერიაზე“ დაგვპატიჟა...

ზუსტად 14 წლის წინ, 2008 წლის სექტემბერში, ლადო ბურდულმა გამართა როკ-ფესტივალი „ხმა იარაღის წინააღმდეგ“. თბილისში, კუს ტბაზე, გვერდი-გვერდ იდგნენ ქართველი და რუსი როკ-მუსიკოსები. მეტიც, ყარაბაღის კონფლიქტის დროს, ლადო ბურდულმა კავკასიის ფესტივალი გამართა და აქ, თბილისში, ერთმანეთის მხარდამხარ იდგნენ სომეხი და აზერი მუსიკოსები. ლადო ბურდულის არცერთ კონერტზე ბილეთები არ გაიყიდება.

როგორ და რა ფორმით აპირებს მუსიკოსი უკრაინის მხარდაჭერას და რომელ მუსიკოსებს ვიხილავთ თბილისში? – „ვერსიას“ მუსიკოსი ლადო ბურდული ესაუბრა.

– ლადო, რა ფორმატით და როგორ ტარდება როკ-აქცია წელს და რომელ მუსიკოსებს ვიხილავთ თქვენს გვერდით, უკრაინის მხარდასაჭერად?

– 2008 წელს, აბსოლუტურად სხვა რეალობის წინაშე ვიდექით და სულ სხვა დრო იყო. მაშინ სპონსორები გვყავდა, მართალია, დიდი ბიუჯეტი არ გვქონდა, მაგრამ მაინც შევძელით და ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჩავატარეთ როკ-აქცია. 2008 წელს, თბილისში ჩამოვიყვანეთ აზერბაიჯანელი, სომეხი, რუსი, გერმანელი მუსიკოსები...

ახლა სულ სხვა დროა, მაგრამ მიზეზი ისევ ერთია – რუსეთის აგრესია მეზობელი ქვეყნის წინააღმდეგ, რუსეთის იმპერიალისტური ხასიათი, რომელსაც უნდა, ისევ დაიმონოს და დაიმორჩილოს ქვეყნები, რომლებსაც საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული, თავის „მემკვიდრეობად“ თვლის.

ომია უკრაინაში, ულამაზესი ქალაქები ინგრევა, გვინდა, ჩვენი ადამიანური და მოქალაქეობრივი რეფლექსები თუ ჰუმანური იდეები როკ-აქციის სახით გამოვხატოთ. სპონსორების ძიება და სხვადასხვა ჯგუფების ჩამოყვანა დიდ დროს წაგვართმევდა, ამიტომ გადავწყვიტეთ, ვისაც როგორ შეგვეძლო, ისე დავხმარებოთ უკრაინას – სწრაფად დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია.

მართალია, საზოგადოების ყურადღების მიპყრობა ამ საკითხს თითქოს არ უნდა, მაგრამ გვინდა, გარკვეულ დონეზე, ყურადღებაც მივიპყროთ და თანხა, რომელიც შეგროვდება, ამ ხალხს მცირედით მაინც დაეხმაროს.

ვიცით, რა სიტუაციაა დღეს, ხალხი უმუშევარია და ფული არ აქვს, ამიტომ ბილეთების გაყიდვის იდეა თავიდანვე ამოვიღეთ, რადგან იქნებ, ადამიანს სურვილი აქვს, აქციას დაესწროს, მაგრამ ფული არ აქვს. შემოწირულობის ყუთი იდგება და ვისაც რა საშუალება ექნება, იმდენს ჩარიცხავს, თუნდაც 1 ლარი იყოს, ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

სტუდია Leno Records-ს და მის ხელმძღვანელს, გვაჯის ამის გამოცდილება აქვს და ფინანსურ მხარეს მიხედავენ.

ამ აქციით გვინდა, ჩვენი მუსიკალური, ადამიანური, ჰუმანური პოზიცია დავაფიქსიროთ, რათა უკრაინელებმა დაინახონ, რომ თბილისელი და თბილისში ჩამოსული უცხოელი მუსიკოსები მათ მხარში უდგანან და მხარს უჭერენ მათ სწრაფვას თავისუფლების, დემოკრატიისა და დამოუკიდებლობისადმი. დღევანდელი სიტუაცია უკრაინაში, იდენტურია იმისა, რაც საქართველოში მოხდა 2008 წელს. რაც მთავარია, როკ-აქცია „ხმა იარაღის წინააღმდეგ“ წელს, სერიალი იქნება, ზუსტად არ ვიცით, რამდენი სერია იქნება, მაგრამ რამდენიმე ნაწილისგან შედგება. თითოეულ ეპიზოდში (სერიაში) ორ-ორი შემსრულებელი გამოვა – ერთი უცხოელი, მეორე – ქართველი.

ლადო ბურდული: „ახლო ურთიერთობა მაქვს რუს მუსიკოსებთან, ყველას ერთ ქვაბში ჩაყრა და იარლიყების მიწებება, რომ ფაშისტები და იმპერიალისტები არიან, არასწორია!“

1 აპრილს, ძალიან კარგი დუეტი – Igor Cutlr გამოდის. ისინი ამერიკელი ცოლ-ქმარი არიან და იაპონური ჯგუფი „ჰევეფეტამინი“, რომლებიც ფსიქოპანკს უკრავენ.

რაც მთავარია, პანდემიის შემდეგ, ამ როკ-აქციას დიდი, ემოციური დატვირთვა აქვს, რადგან ორი წელია, ეს ხალხი არსად ყოფილა. დღევანდელი რეალობა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვინაიდან კოვიდშეზღუდვები მოიხსნა, მეგობრები შევიკრიბოთ და ერთმანეთს აზრები გავუზიაროთ. იქნება ინტერნეტ ტრანსლაცია, გვინდა, სახეებიც დავპატიჟოთ, რომლებიც დააფიქსირებენ საკუთარ დამოკიდებულებას და ერთ-ორ სიტყვას იტყვიან, ინტერვიუების სახით.

– ამ როკ-აქციას უკრაინელი დიჯეი წაიყვანს?

– არა, ოლია დუმნოვა დიჯეი არ არის, ის ახალი, საინტერესო ინტერნეტ-პროექტის Planet Lemon-ის წამყვანია. ეს პროექტი სულ სხვა მიზნებისთვის კეთდებოდა, მაგრამ ამ ომმა სულ სხვა მიზნებისკენ შემოატრიალა. სხვათა შორის, ოლიამ სახლ-კარი დაკარგა უკრაინაში, აუფეთქეს, მეგობრებმა თბილისში ჩამოიყვანეს და მათთან ცხოვრობს. ეს გოგონა თავადაა ამ უბედურების მსხვერპლი და მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ის გაუძღვება ამ აქციას.

– ამ ორი ჯგუფის გარდა, აქციაში სხვა ჯგუფებსაც ვიხილავთ?

– დიახ, ასეა. არ გვინდა ბევრი ჯგუფის გამოსვლა ერთ დღეს და არც დროში გაწელილი კონცერტი მოგვწონს. დაგეგმილი გვაქვს როკ-აქციის 3-4 სერია, მაგრამ შევხედავთ, თუ ისე განვითარდება, რომ მოითხოვს გაგრძელებას, გავაგრძელებთ, მაგრამ 3-4 სერიის შემდეგ გავჩერდებით. შევხედავთ, რა შედეგს მოიტანს, ან სწორ ნაბიჯებს ვდგამთ, თუ არა.

– კარგად იცით ჩემი დამოკიდებულება თქვენი შემოქმედების მიმართ. ისეთ დროს აკეთებდით მაგარ ფესტივალებს, ვგულისხმობ კავკასიის როკ-ფესტივალს, რომელიც 1995 წლიდან, თბილისში იმართებოდა, რომ ზუსტად იცით, როდის უნდა გაჩერდეთ. თქვენ ეს არ შეგეშლებათ, თუმცა ამ აქციამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, არ მომერიდება და პირდაპირ გეტყვით, საზოგადოების მცირე ნაწილის უსამართლო აღშფოთებაც კი მოჰყვა, როდესაც სოციალურ ქსელში დაწერეთ, რომ რუსი როკ-მუსიკოსის, ბორის გრებენშჩიკოვის ჩამოყვანა გსურდათ. შედგა თუ არა მოლაპარაკება?

– ჯერ თქვენს ნათქვამზე გავაკეთებ კომენტარს, საერთოდ, რასაც ვაკეთებ, არ არის მასებზე გათვლილი, მათ შორის, არც ჩემი მუსიკა, არც ჩემი „ივენთები“. არასდროს არ მიმუშავია იმაზე, რომ ყველაფერი ეს, მასობრივი ყოფილიყო და პოპ-კულტურად გადაქცეულიყო. თუმცა ჩემს „ივენთებს“ ახასიათებს ნოვატორობა, უმაღლესი ხარისხი, რადგან ყველაფერი მაღალ დონეზე სრულდება და აქვს „ვესტურობის“ სული, რომელიც შეუძლებელია, საქართველოში ნახო. სხვაგან ხედავთ, რომ ცოტა გატყლარჭულები არიან, ან ცოტა პლაგიატია, ან გულით ისე კარგად ვერ მღერიან. თუმცა ხაზგასმით შემიძლია გითხრათ, რომ ჩემს „ივენთებზე“ დასავლური სული და განწყობა იგრძნობა. ძალიან ცოტა, მაგრამ ზუსტი ადამიანებისთვის ვაკეთებ ყველაფერს და ყოველთვის ის ადამიანები მოდიან, რომლებსაც ნამდვილად სჭირდებათ ეს.

რაც შეეხება რუსებს, ახლო ურთიერთობა მაქვს რუს მუსიკოსებთან. მესმის, რომ მოსახლეობის 80% პუტინს უჭერს მხარს, მაგრამ ის 20%-იც ხომ არსებობს, რომლებიც მხარს არ უჭერენ? ყველას ერთ ქვაბში ჩაყრა და იარლიყების მიწებება, რომ ფაშისტები და იმპერიალისტები არიან, არასწორია! მე ადამიანებს არ ვახარისხებ ეთნიკური ნიშნით, სოციალური წარმომავლობით, პოლიტიკური აზროვნებით, რელიგიური ნიშნით და ასე შემდეგ, მიმაჩნია, რომ ან არის ადამიანი, ან – არა! ის ადამიანები, რომლებთანაც ურთიერთობა მქონდა, რუსები არიან, მაგრამ ჩემთვის მისაღებები არიან. სიმართლე რომ გითხრათ, პირადად მე, ბორის გრებენშჩიკოვის მუსიკის დიდი მოყვარული არ გახლავართ, მაგრამ მისი პიროვნული თვისებებიდან და სოციალური სტატუსიდან გამომდინარე, რადგან თავისი ქვეყნის პატრიოტია და ყოველთვის სწორ პოზიციაზე დგას, ჯერ კიდევ 80-იანი წლებიდან მოყოლებული, პატივს ვცემ. ამის არდანახვა არ შეიძლება. იგივე შემიძლია გითხრათ ჯგუფი „ნოლის“ შესახებ, ჯგუფის ლიდერი, ფიოდორ ჩისტიკოვი დიდი ხნის წინ გამოექცა პუტინს და მის რეჟიმზე უარი თქვა. ახლა კი არა, რამდენიმე წლის წინ გამოიქცა რუსეთიდან. ჩემი სხვა მეგობრები წლების წინ გამოექცნენ პუტინის რეჟიმს, საზღვარგარეთ ცხოვრობენ, იქ სატელევიზიო გადაცემებს აკეთებენ და ღიად ამბობენ, რომ პუტინის პოლიტიკა რუსეთს დაღუპავს.

ზოგადად, ქართველებს სულ გვინდა, რომ ან თეთრი დავინახოთ, ან – შავი, არადა, ამ თეთრსა და შავს შორის, უამრავი ფერია, რომლის დანახვასაც ინტელექტი, ნიჭი და სურვილი უნდა. მოკლედ, მე არ ვემხრობი იმ ხალხს, რომლებიც ამბობენ, რომ ყველა რუსი საზიზღარი და პუტინის მომხრეა, აბსოლუტურად არ ვეთანხმები ამაში.

კავკასიის მუსიკალური ფესტივალი ახსენეთ, რომელსაც 1995 წლიდან ვაკეთებდი. ხომ გახსოვთ, სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი, ჩეჩენი მუსიკოსები ჩამომყავდა თბილისში. ისინი მენდობოდნენ და იცოდნენ, რა ადამიანი ვარ, რომ ჩემს უკან არავითარი პარტიული და მაფიოზური ინტერესი არ ყოფილა. საბოლოოდ, ერთ დასკვნამდე მივედი – მთავარი პატიებაა, რადგან სიყვარულს ალტერნატივა არ აქვს!

– ლადო, ბორის გრებენშჩიკოვი ჩამოდის თბილისში?

– არა! ორი ვარიანტი გვქონდა: ან ჩამოგვეყვანა, მაგრამ როკ-აქცია ზაფხულისთვის გადაგვედო, ან ახლა, კონცერტის მსვლელობის დროს, პირდაპირი ჩაგვერთო. საერთოდ, როდესაც 300 კაცში, ლაივ-კონცერტს აკეთებ, იქ ჩართვა დიდად არ მუშაობს. ჩამოსვლას რომ დავლოდებოდით, როკ-აქცია ზაფხულისკენ გადაიწევდა, არადა, უკრაინას თანადგომა და მხარდაჭერა ახლა სჭირდება.

მისია შესრულებულია – „რიყის დოქები“ მეშვიდე აუქციონზე 10 მილიონ ლარად გაიყიდა

მაკა რუხაძე

ორი წლის მანძილზე, ექვსი უშედეგო მცდელობის შემდეგ, როგორც იქნა, „რიყის დოქების“ აუქციონი დასრულდა. ობიექტი, რომელიც 2020 წელს, მთავრობამ 96 მილიონ ლარად გაიტანა აუქციონზე, ზუსტად ორი წლის შემდეგ, თითქმის ათჯერ ნაკლებ ფასად – 10 მილიონ ლარად გაიყიდა. ცნობილია, რომ „რიყის დოქები“ შეიძინა ლუქსემბურგში რეგისტრირებულმა კომპანია Global Victory Trust-მა, რომლის მენეჯმენტშია ბიზნესმენი დავით ხიდაშელი – „კარტოგრაფების საქმის“ მთავარი მოწმე. 2016 წელს, „რიყის დოქები“ მსოფლიოს ათ საუკეთესო კულტურის ცენტრს შორის მოხვდა.

ინვესტორი, რომელმაც თბილისის ისტორიულ უბანში ღვინის მუზეუმი უნდა მოაწყოს, „დავით გარეჯის“ საქმის მთავარი ფიგურანტია

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ოფიციალური ინფორმაციით, 14 591 კვადრატული მეტრის მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები შეიძინა ლუქსემბურგში რეგისტრირებულმა კომპანია Global Victory Trust-მა, 10 020 000 ლარად შეიძინა.

„საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი „რიყის დოქები“, ელექტრონულ აუქციონზე 10 020 000 ლარად, Global Victory Trust-მა იყიდა. აუქციონის პირობების მიხედვით, ობიექტის მომავალი მფლობელი ვალდებულია, რომ 36 თვის ვადაში, ტერიტორიაზე ღვინის, ციფრული ხელოვნებისა და ტექნოლოგიების მუზეუმი, ასევე, საგამოფენო და საკონფერენციო სივრცეები მოაწყოს. ამ მიზნით, დაახლოებით, 20 მილიონი ლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს. ობიექტის სამომავლო განვითარება ხელს შეუწყობს რიყის ტერიტორიაზე ახალი ტურისტული მიზიდულობის ცენტრის გაჩენას, რაც კიდევ უფრო აამაღლებს ტურისტულ პოტენციალს და გაზრდის ვიზიტორთა რაოდენობას“.

თბილისის ისტორიული უბნის რეაბილიტაციის მიზნით, რიყის პარკის განაშენიანება და კეთილმოწყობა 2009 წლიდან დაიწყო. პროექტი „თბილისის განვითარების ფონდის“ დაკვეთით ხორციელდებოდა, რომლის ფარგლებში, ე.წ. „დოქების“ მშენებლობა დაიგეგმა. „რიყის დოქები“ მილის ფორმის ორი შენობა უნდა ყოფილიყო. პროექტი იტალიელმა არქიტექტორმა, მასიმილიანო ფუქსასმა განახორციელა. მასვე ეკუთვნის მოგვიანებით თბილისში, ასევე, გორსა და მარნეულში აშენებული იუსტიციის სახლის პროექტები. რიყის პარკის პროექტის დაწყებისას ცნობილი იყო, რომ ე.წ. „დოქებში“ მუსიკალური თეატრი და საგამოფენო ცენტრი უნდა განთავსებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ 2011-2012 წლებში, „რიყის დოქების“ პროექტზე 75 მილიონი ლარი დაიხარჯა, ეს შენობები დღემდე უფუნქციოდ იყო.

2019 წლის თებერვალში, თბილისის მერმა ჟურნალისტებს „რიყის დოქებით“ რამდენიმე ინვესტორის დაინტერესების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, მოგვიანებით, უკვე 2020 წლის დასაწყისში, კახი კალაძე ამბობდა, რომ შენობა, სიმბოლურ ფასად – 1 ლარადაც ლარადაც კი არ სურდათ ინვესტორებს, რადგან შენობის დასამთავრებლად სულ მცირე 20 მილიონი ლარი მაინც იყო საჭირო.

„რიყის დოქები“ ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე ირიცხებოდა. 14 591 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა – „რიყის დოქები“, გარკვეული საინვესტიციო პირობით გაიყიდა. კერძოდ, ინვესტორმა, ობიექტის შეძენის შემდეგ, ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 თვეში, მრავალფუნქციური კომპლექსი (საგამოფენო სივრცეები, სასტუმრო) უნდა შექმნას და შენობები აამოქმედოს. ამისთვის კი ის პირი, ვინც „დოქებს“ შეიძენს, ვალდებულია, 10 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელოს.

როგორც აღვნიშნეთ, „რიყის დოქების“ აუქციონზე ექვსეჯერ გაიტანეს და ამ ობიექტის გაყიდვის ექვსივე მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. სულ პირველად, ეს უძრავი ქონება 2020 წლის 5 თებერვალს, 95 მილიონ ლარად გაიტანეს აუქციონზე, მაგრამ ვაჭრობა არ შედგა; მეორე და მესამე აუქციონებიც წარუმატებელი აღმოჩნდა; „რიყის დოქები“ მეოთხედ, 47 500 000 ლარად გაიტანეს გასაყიდად, თუმცა ელექტრონული აუქციონი არ შედგა; მეხუთე უშედეგო აუქციონზე, ობიექტის გასაყიდი ფასი 30 მილიონი ლარი იყო; მეექვსე აუქციონზე – 10 მილიონ ლარამდე შემცირდა და მხოლოდ მეშვიდე აუქციონზე გაიყიდა.

კომპანია, რომელმაც „რიყის დოქები“ შეიძინა, ოფიციალური მონაცემებით, 2016 წლის 8 ივლისს, ლუქსემბურგის საჰერცოგოშია რეგისტრირებული. Global Victory Trust-ის მენეჯერად მითითებულია ორი პირი – რუსეთის მოქალაქე, იგორ დიადჩენკო და ავსტრიის მოქალაქე, მარკ მაილო ლუბი. პარალელურად, დიადჩენკო ამავე მისამართზე რეგისტრირებული კიდევ ერთი კომპანია GVT Development-ის მენეჯერია. Global Victory Trust-ს ხელმძღვანელობს ნეიროეკონომისტი და ხელოვნური ინტელექტის სპეციალისტი, დოქტორ კრისტოფერ ჰილლი. კომპანიის აქციონერია Global Victory Investment, რომელიც რეგისტრირებულია არაბთა გაერთიანებულ საამიროებში. ამ კომპანიის მფლობელი და დირექტორია მარიამ ხიდაშელი, დირექტორატის წევრია ბიზნესმენი, დავით ხიდაშელი – „დავით გარეჯის“ საქმის ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი. სწორედ ხიდაშელმა ჩამოიტანა მოსკოვიდან რუკები და ამ რუკების გამოუყენებლობას ედავებიან ილიჩოვასა და მელაშვილს, საზღვრის დემარკაციის პროცესში. დავით ხიდაშელმა რუსეთში მოძიებული რუკები საქართველოს პროკურატურას გადასცა.

სამართალი

№12 30 მარტი 2022 წ

ოქროს სამკაციანი მაფიის საქმე

ვინ მოკლა პილოტი და როგორ გავიდა გამოძიება საერთაშორისო დანაშაულებრივ ჯგუფზე

ბათო ჯაფარიძე

თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, ერთი შეხედვით, შეუძლებელია თვითმფრინავში ისე აიტანო აკრძალული ნივთი ან ნივთები, საბაჟოს თანამშრომლებმა ვერაფერი გაიგონ. მით უმეტეს, წარმოუდგენელია ლითონის ნაკეთობების გატანა, რადგან მეტალოდეტექტორი აუცილებლად აანთებს წითელ შუქს და საფუძვლიანად გაგჩხრეკენ. ისტორიას, რომელსაც ახლა გიამბობთ, შეიძლება, მსოფლიოში ანალოგი არ ჰქონდეს და ის არცთუ დიდი ხნის წინ მოხდა. რაც მთავარია, სამართალდამცავებმა საქმე სრულიად შემთხვევით გახსნეს და რომ არა ეს შემთხვევითობა, შესაძლოა, დანაშაულებრივ სქემას დღემდე ისე ემუშავა, ვერც მებაჟეები და ვერც თანამშრომლები ვერაფერს მიმხვდარიყვნენ.

ყველაფერი კი ძალიან ბანალურად დაიწყო: გამთენიისას, მეეზოვემ, მანქანაში მამაკაცის გვამს მიაგნო. კაცი საჭესთან იჯდა და თავი უკან ჰქონდა გადაგდებული. მეეზოვემ კარი გამოაღო და მაშინვე მიხვდა, რომ მის წინ გვამი იყო, ამიტომ კარი დახურა და პოლიციაში დარეკა.

ადგილზე მისულ სამართალდამცავებს ახალგაზრდა მამაკაცის გვამი შერჩათ ხელში. სავარაუდოდ, გრძელი და ბასრი საგნით იყო მოკლული, რომელიც უკანა სავარძელზე მჯდომმა, სავარძლის გავლით შეარჭო, თან ისე, რომ პირველივე ჩხვლეტა სასიკვდილო აღმოჩნდა – გულში გაიარა. გარდაცვლილის ვინაობა მალე დაადგინეს – ის ერთ-ერთი ავიაკომპანიის პილოტი გახლდათ, რომელიც რეისიდან წინა დღის დაბრუნებული იყო. რა თქმა უნდა, ძალოვნებმა, პირველ რიგში, გარდაცვლილის ბინა გაჩხრიკეს, მოწმეები კი არც უძებნიათ – მანქანა ისეთ ადგილზე იყო გაჩერებული, შემთხვევითი გამვლელი თუ ნახავდა. ექსპერტიც ამტკიცებდა, კაცი ღამის ორიდან სამ საათამდე მოკლესო და შემთხვევითი გამვლელი ამ დროს თითქმის გამორიცხული იყო.

სამაგიეროდ, ეს იმის თქმის საფუძველს იძლეოდა, რომ მკვლელი და მოკლული შეხვედრაზე წინასწარ იყვნენ შეთანხმებულნი ანუ ისინი ერთმანეთს იცნობდნენ.

გარდაცვლილის სახლში საკმარისზე მეტი თანხა ნახეს, თანაც ვალუტა, რაც წესითა და რიგით, ჩვეულებრივ პილოტს არ უნდა ჰქონოდა. საუბარი იყო 140 ათას დოლარზე მაშინ, როცა ადამიანების უდიდესი ნაწილისთვის დოლარი უცხო ხილი გახლდათ და ბევრს ნანახიც არ ჰქონდა.

ზოგადად, მფრინავებისთვის უცხოური ვალუტა ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ, მაგრამ არა ამ ოდენობით, თანაც სახლში არ იყო ისეთი ავეჯი და ტექნიკა, როგორიც ამ ქონების პატრონს შეესაბამებოდა ანუ პილოტი ფულს აგროვებდა და ვინ იცის, შემდეგ, მორიგი რეისის დროს, საზღვარგარეთ დარჩენასაც კი აპირებდა. დაკითხეს მისი მეგობრები, რომლებმაც მხრები აიჩეჩეს, წარმოდგენაც კი არ გვქონდა, თუ ასეთი ოდენობის თანხა შეიძლებოდა ჰქონოდა, პირიქით, ხანდახან ფულს სესხულობდა კიდეცო. სამაგიეროდ, ყველამ თქვა, რომ გარდაცვლილს ურთიერთობა ერთ-ერთ სტიუარდესასთან ჰქონდა და დაქორწინებასაც აპირებდა. თავად სტიუარდესა ტირილით თავს იკლავდა, საქმრო მომიკვდა, მთელი მომავალი გეგმები მასზე იყო აწყობილი და არავითარი ევროპა ან აშშ, საქართველოში ვაპირებდით ცხოვრებასო. მან დაკითხვის დროს აღიარა, რომ იცოდა, საქმროს ვალუტის გარკვეული დანაზოგი რომ ჰქონდა, თუმცა ვარაუდობდა, რომ ეს თანხა, მაქსიმუმ, 2 ათასი დოლარი იყო და არა – ამდენი.

ძალოვნები დეტალურად შეუდგნენ საქმის გამოძიებას, რადგან მხოლოდ მკვლელობა კი არა, ისიც დასადგენი იყო, საიდან იშოვა მფრინავმა ამ ოდენობის დოლარი. შეისწავლეს მისი გარემოცვა და აღმოაჩინეს, რომ ნამდვილ მეგობრად მხოლოდ ერთ, საკმაოდ ცნობილ ადვოკატს აღიარებდა და დანარჩენებთან დისტანცია ჰქონდა, სახლში არავის ეპატიჟებოდა და ამის უფლება მხოლოდ ადვოკატს გააჩნდა. ჰო, ბინის ჩხრეკისას იპოვეს ბლოკნოტი, სადაც უცანაური ციფრები იყო ჩაწერილი. უფრო კონკრეტულად კი, კონკრეტული თარიღი და იმ თარიღის ქვეშ მიწერილი სამი ციფრი. ციფრები ორნიშნა ან სამნიშნა იყო და სამართალდამცავებმა იეჭვეს, რომ ეს ციფრები მკვლელობის გახსნის გასაღებთან მიიყვანდათ. ბოლომდე ჩაკირკიტების შემდეგ, დადგინდა, რომ თარიღები ასი პროცენტით ემთხვეოდა იმ დღეებს, როცა პილოტს რეისი ჰქონდა და ყველა ჯერზე ევროპაში მიფრინავდა. ეს, ძირითადად, ამსტერდამის რეისები იყო, თუმცა რას ნიშნავდა თარიღების ქვეშ მიწერილი ციფრები, წარმოდგენა არავის ჰქონდა. ამიტომ, გამომძიებლებმა ბლოკნოტი იმ ეკიპაჟის მეთაურს ანახეს, რომელშიც გარდაცვლილი შედიოდა. ბორტის კაპიტანმა ყურადღებით დაათვალიერა ბლოკნოტი და თქვა, შესაძლოა, ეს სასტუმროს ნომრები იყოს, იმ სასტუმროების, სადაც ვჩერდებოდით, სხვა რამეს ვერ ვფიქრობო. გადაამოწმეს და დაადგინეს, რომ კაპიტანი მართალი იყო – ნომრები ემთხვეოდა იმ სასტუმროების ნომრებს, სადაც პილოტები ჩერდებოდნენ და რაც მთავარია, ყველა შემთხვევაში, სამივე ნომერი ერთსა და იმავე ადამიანს ჰქონდა დაჯავშნული და ეს ადამიაანი... გერმანელი ადვოკატი იყო. ძიებით ისიც გაირკვა, რომ გერმანელი ადვოკატი საბჭოთა კავშირს და კონკრეტულად საქართველოს ხშირად სტუმრობდა და როგორ გგონიათ, სად ჩერდებოდა? – დიახ, იმ ადვოკატთან რჩებოდა სახლში, რომელიც გარდაცვლილის უახლოეს მეგობრად ითვლებოდა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ ქართველი ადვოკატი დაეპატიმრებინათ. რა უნდა წარედგინათ ბრალად – გერმანელი ოფიციალური სტუმრის მიღება, თუ პოლიტთან მეგობრობა?

სამაგიეროდ, გერმანელმა სამართალდამცავებმა მიაწოდეს ქართველებს ძალიან საინტერესო ცნობა. მათი თქმით, გერმანელი ადვოკატი პროფესიული საქმიანობის პარალელურად, ოქროს ნაკეთობებით ვაჭრობდა და მას გასაყიდად მუდმივად რუსული ოქრო ჰქონდა, თანაც იმ ოდენობით, რომ ყველას უკვირდა, მაგრამ ადვოკატმა კარგად იცოდა კანონი და ბრალს ვერაფერში სდებდნენ. ის ამბობდა, რომ ოქროს ნაკეთობებს საბჭოთა მოქალაქეებისგან ყიდულობდა, ხელწერილსაც კი ართმევდა და აღნიშნული ხელწერილები იქაურ პოლიციაში არაერთხელ წარადგინა. ერთ-ერთი ასეთი ხელწერილი ქართველ სამართალდამცავებსაც გადმოუგზავნეს და მასზე... გარდაცვლილი პილოტის ხელმოწერა იყო. არადა, შეუძლებელი იყო მუდმივად ოქროს ნაკეთობები გაგეტანა და თან დიდი ოდენობით, რადგან მეტალოდეტექტორი აუცილებლად ამუშავდებოდა და ასეთი კონტრაბანდა მფრინავებისთვისაც კი ძალიან სახიფათო იყო. ყველაფერი ისევ ეკიპაჟის მეთაურმა ახსნა.

„გარდაცვლილი ჩვენთან სამხედრო ავიაციიდან მოვიდა. ერთ-ერთი გაფრენის დროს, ის სამხედრო თვითმფრინავიდან პარაშუტით გადმოხტა, ცუდად დაეშვა და ბარძაყის ძვალი, პრაქტიკულად, დაეფშვნა. ფრენას კი არა, სიარულს თუ შეძლებდა, იმასაც ვერ ამბობდნენ, ბარძაყი მთლიანად რკინის მილებით აუწყვეს და სასწაულიც მოხდა – ფეხზე გაიარა. შემდეგ, სამოქალაქო ავიაციას მოაკითხა და რადგან თავდაცვის სამინისტროდან ძალიან კარგი დახასიათება ჰქონდა, მივიღეთ, თუმცა ყველამ იცოდა, რომ მისი გავლის დროს, მეტალოდეტექტორი აუცილებლად წითელს ანთებდა, მაგრამ მხოლოდ ბარგს უჩხრეკდნენ, რა აზრი ჰქონდა მის გაჩხრეკას, ძვლის მაგივრად, ფეხში რკინა ედო“, – განაცხადა მან.

ცხადი გახდა, როგორ გაჰქონდა ოქრო მფრინავს, მაგრამ საიდან მოჰქონდა ამდენი ძვირფასი ნაკეთობა, ეს იყო გასარკვევი. გამომძიებლებმა ყურადღება კვლავ ადვოკატს დაუთმეს და გაარკვიეს, რომ ისეთ საქმეებს ეძებდა, რომლებშიც დამნაშავეებად ბინის ქურდები გადიოდნენ. ეძებდა კი არა, კოლეგებს ლამის ხელიდან სტაცებდა, სხვა საქმეებში უცვლიდა და მისი კლიენტების აბსოლუტური უმრავლესობა, სწორედ ბინის პროფესიონალი ქურდი იყო. კარგა ხნის ხვეწნა-მუდარის შემდეგ, პროკურორმა ადვოკატის ბინის ჩხრეკის უფლება გასცა და კედლის საათის ნაწილებად დაშლის შემდეგ, გამომძიებლებმა, დაახლოებით, 300 გრამ ოქროს ნაკეთობებს მიაგნეს. ყველა მათგანი მოპარული გახლდათ და ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ადვოკატის დასაკავებლად. მას ბრალად არა მარტო მოპარული ნივთების გასაღება, არამედ, მფრინავის მკვლელობაც წაუყენეს.

„ვაღიარებ, ოქროს ნაკეთობებით პილოტს მე ვამარაგებდი. დიდი ხანია, ვიცნობდი და როცა გავიგე, ფეხში რკინა ჩაუდგეს, მივხვდი, მეტალოდეტექტორზე მარტივად გაატარებდნენ. გერმანელი ადვოკატიც მარტივად დამთანხმდა და სერიოზული საქმეც წამოვიწყეთ. რაც შეეხება მკვლელობას, იდიოტი ვიყავი, ოქროს კვერცხის მდებელი დედალი მომეკლა? წარმოდგენა არ მაქვს, ვის შეიძლებოდა მოეკლა და რატომ. სასტუმროში სამ ნომერს შეგნებულად ქირაობდა ჩემი გერმანელი კოლეგა, კუდი რომ გაჰყოლოდა პილოტს, ის გაქცევას მოასწრებდა, რადგან რეალურად, მფრინავმა არ იცოდა, რომელ ნომერში დახვდებოდა გერმანელი, ის კი ამ პერიოდში ათვალიერებდა, მოჰყვებოდა თუ არა მას კუდი. მოკლედ, ბოლომდე არ გვენდობოდა. ჰო, იმ დღეს ვისაუბრეთ და მითხრა, ერთ კაცს უნდა შევხვდე ღამით, მგონი, ოჯახური კონფლიქტი მაქვსო. სახელიც ახსენა, პეტრე თუ პავლე, ზუსტად არ მახსოვს“, – მარტივად მოჰყვა ყველაფერს ადვოკატი და თან გარანტიებიც მიიღო, რომ სასამართლო ამ აღიარებას გაითვალისწინებდა.

პეტრე იმ სტიუარდესას ძმას ერქვა, რომლის ცოლად მოყვანასაც გარდაცვლილი აპირებდა. გამომძიებლებმა მუშაობა ახლა ამ მიმართულებით დაიწყეს და გაარკვიეს, რომ ქალი ორიოდე თვის წინა საავადმყოფოში იყო მისული და იქ დაუდასტურეს, განუვითარებელი საშვილოსნო გაქვს, ბავშვი არასდროს გეყოლებაო. მერე გაირკვა, ამის ნიადაგზე, მფრინავმა ქორწინებაზე უარი თქვა, გოგომ ძმას შესჩივლა, იმან კი...

„მოკვლა არ მინდოდა, შეშინება მსურდა, უკან იმიტომ ჩავჯექი, ვიფიქრე, ერთ-ორს რომ ვუჩხვლეტ „სპიცით“, აზრზე მოვა-მეთქი, მაგრამ სავარძლის სისქე ვერ გავთვალე და როცა „სპიცი“ შევარჭე, ერთი ამოიხვნეშა და მოკვდა. მანქანიდან გადმოვედი და გავიქეცი“, – თქვა ძმამ, რომელსაც ამ მკვლელობის გამო, 8 წელი აკმარეს, ადვოკატს კი... 3 წელი პირობითი ერგო.

სამხარეო პროკურორის მოადგილემ მოსამართლის ბინაში ყოფილი ქურდი მოკლა

ვინ არის „ჩუქჩა“ – გასაიდუმლოებული გამოძიების დეტალები

ბათო ჯაფარიძე

კომუნისტების დროს მაღალჩინოსნები ხელშეუხებლები იყვნენ. პარტიის ლიდერებს უფლება არ ჰქონდათ, დანაშაული ჩაედინათ და თუ ვინმეს იმეტებდნენ, მაშინ ბოლომდე იმეტებდნენ, რეალურად კი ძალიან ბევრი დანაშაული, უბრალოდ, იჩქმალებოდა. ამიტომ, როცა კრიმინალური შემთხვევა მაღალჩინოსანს ეხებოდა, სამართალდამცავები ოფიციალურად ან არაოფიციალურად ასაიდუმოებდნენ. ჰოდა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა, როცა ერთ მშვენიერ დღეს, მეზობელმა მეზობლის ღია კარი დაინახა, შევიდა და იქ მკვდარი მამაკაცი ნახა. ბინა, სადაც გარდაცვლილი იპოვეს, მოსამართლეს ეკუთვნოდა, მოსამართლე კი, ცოლ-შვილთან ერთად, ზაფხულის შვებულებას სოხუმში ატარებდა.

„ზაფხული ისეთი პერიოდია, ყველა გასული იყო თბილისიდან და ზოგადად, ამ დროს, კრიმინალური შემთხვევებით უფრო ზღვისპირა რეგიონი გამოირჩეოდა და ამიტომ, ძალიან გაგვიკვირდა, როცა უმძიმესი დანაშაული თბილისში მოხდა და რაც მთავარია, მოხდა მოსამართლის ბინაში. რაღა თქმა უნდა, მოსამართლე მაშინვე დედაქალაქისკენ გამოემგზავრა, თუმცა მანამდე, ჩემმა ოპერებმა გარდაცვლილი იცნეს“, – იხსენებს ერთ-ერთ ყველაზე რეზონანსულ და ყველაზე გასაიდუმლოებულ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

გარდაცვლილს ცეცხლსასროლი იარაღიდან 3 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, ერთი მუხლში, მეორე – მუცელში, მესამე – პირდაპირ გულში. შესაძლოა, ვინმეს ეგონოს, რომ მკვლელი ცუდად ისროდა, თუმცა ექსპერტი საპირისპიროს ამტკიცებდა – მსროლელმა კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა, ფეხშიც შეგნებულად ესროლა, მუცელშიც და შემდეგ – გულშიცო ანუ ექსპერტი ამტკიცებდა, მუხლსა და მუცელში ტყვია მანამ იყო ნასროლი, სანამ მკვლელი სასიკვდილო გასროლას განახორციელებდა.

რაც შეეხება გარდაცვლილს, ის ბინების საკმაოდ ცნობილი ქურდი იყო და ერთი შეხედვით, არავის გაჰკვირვებია, რომ მოსამართლის ბინაში იპოვეს, მაგრამ...

„ეს ბინების ქურდობას ჯერ კიდევ ათი წლის წინ შეეშვა. ბოლო „სროკი“ ავარიაზე ჰქონდა, გოგონა გაიტანა, ის ბავშვი გადარჩა, თუმცა სასამართლომ მაინც ექვსი წელი მისცა. ეს საქმის გადახედვას ითხოვდა და გადახედეს, სასჯელი გაუნახევრეს და ციხე სამ წელიწადში დატოვა. მანამდე, წლების განმავლობაში, ბინების ქურდობაში შემჩნეული აღარ იყო, ცოლიც მოიყვანა, პატიოსნადაც მუშაობდა, ერთი შვილი ჰყავდა, მეორეს ელოდა, ასეთ დროს მოკლეს და რაც მთავარია, მოკლეს მოსამართლის ბინაში. ყველაფერი ეს, ჩემმა ოპერმა მიამბო“, – გვიხსნის ბატონი თენგიზი.

სახლში მხოლოდ ერთი ცარიელი მასრა ნახეს, სავარაუდოდ, ორი მკვლელმა წაიღო, თუმცა იმ ერთზეც შეიმჩნეოდა თითის ანაბეჭდი, რომელიც გარდაცვლილს არ ეკუთვნოდა. ბინიდან თითქოს არაფერი იყო დაკარგული და ეს მაშინ, როცა მოკლულის გვერდით, დაახლოებით, 2 500 მანეთი და ოქროული ეყარა ანუ მათ, რომლებმაც ბინაში შეაღწიეს, ძვირფასეულობას მიაგნეს, თუმცა არ წაიღეს. როცა მოსამართლეს მოკლულის სურათი ანახეს, გაოცებისგან პირი დააღო – ამ კაცს სასჯელი მე გავუნახევრე, სხდომაზე ატირდა, მადლობები იხადა და თან, ციხის ადმინისტრაციისგან საუკეთესო დახასიათება ჰქონდაო. გამოდიოდა, რომ ბინის ძველი ქურდი მოსამართლეზე განაწყენებული არ უნდა ყოფილიყო? მაშ, რა მოხდა?!

სამართალდამცავები გარდაცვლილის ოჯახში მივიდნენ. ცოლი ტირილით თავს იკლავდა, შემიძლია დავიფიცო, გამოსწორდა, ქურდობაზე საერთოდ არ ფიქრობდა, დღე და ღამეს ასწორებდა, შრომობდა და ლუკმა-პურს ასე შოულობდაო.

„დაახლოებით, სამი კვირის წინ, ვიღაც კაცი მოვიდა. ქმარს არ მოეწონა მისი სტუმრობა, მაგრამ შემოიპატიჟა და სამზარეულოში სუფრა გამაშლევინა. კი ცდილობდნენ, ჩუმად ესაუბრათ, მაგრამ რომ შეთვრნენ, ხმას აუწიეს. მოსული ეუბნებოდა, ჩვენი ვალი გაქვს, „ზონაზე“ რომ გინახავდით, არაფერი გაკლდა და ამიტომ, კონკრეტული ბინა უნდა გახსნა, დანარჩენი ჩვენ ვიცითო. როგორც მივხვდი, ქმარი დათანხმდა, მაგრამ ერთი პირობით – ეს მისი უკანასკნელი საქმე იქნებოდა. არ ვიცი, რა ერქვა იმ კაცს, მაგრამ ჩემი ქმარი მეტსახელით მიმართავდა და „ჩუქჩას“ ეძახდა“, – ეს არის გარდაცვლილის ცოლის ჩვენების ამონარიდი.

სამართალდამცავები „ჩუქჩას“ კარგად იცნობდნენ, ამიტომ მას სახლში მიადგნენ და რაოდენ დიდი იყო მათი გაოცება, როცა „ჩუქჩამ“ მშვიდად თქვა, ვიცი, რაზეც მოხვედით, იარაღი უჯრაშია, ის კაცი მე მოვკალიო. ეს ნამდვილი შოკი იყო, გამოცდილი კრიმინალისგან ასეთ აღიარებას არავინ ელოდა და რაც მთავარია, მკვლელობის იარაღის შინ შენახვა, საერთოდ, სრული სიგიჟე იყო. დაკავებულმა დეტალურად აღწერა მომხდარი და თქვა, რომ ბინის ქურდი სიხარბის გამო მოკლა, იქ ბევრი ძვირფასეულობა და ფული ვნახეთ, ის დახარბდა, მეტი მოითხოვა და ვეღარ მოვითმინე, მოვკალი და რომ არ მომეკლა, აქეთ მომკლავდაო.

„ერთი შეხედვით, ყველაფერი მარტივად აღსაქმელი იყო, მაგრამ მთავარი კითხვა უპასუხოდ რჩებოდა – რატომ არ წაიღო „ჩუქჩამ“ ის ძვირფასეულობა და ფული, რომლის გამოც კაცი მოკლა? იმის თქმა, რომ მას დრო არ ჰქონდა, აბსურდი გახლდათ – მაქსიმუმ, 10 წამში კრიმინალი მარტივად მოაგროვებდა ყველაფერ იმას, რაც ბინაში ეყარა და 10 წამი კიდევ ნამდვილად არ გადაუწყვეტდა არაფერს. ჰო, დაკავებულმა ისიც თქვა, გარეთ ასფალტს აგებდნენ და ასფალტის პისტოლეტის ხმაზე გავისროლე, მეზობლებს რომ ვერაფერი გაეგოთო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

აღიარებითი ჩვენების მიუხედავად, გამომძიებლები საქმის სასამართლოში გადაგზავნას არ ჩქარობდნენ და დაკავებულის დაკითხვას აგრძელებდნენ. ნელ-ნელა, ის ჩვენებებში აიბლანდა და მესამე დღეს ცხადი გახდა, რომ „ჩუქჩა“ მკვლელი არ იყო და სხვის დანაშაულს იბრალებდა. კი, მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო ისეთი, ვის გამოც გამოცდილი კრიმინალი რიგით ამბავს კი არა, მკვლელობას იბრალებდა?! ეს იყო გასარკვევი და სანამ გამომძიებლები ფიქრით თავს იმტვრევდნენ, სამხარეო პროკურორის მოადგილის ზარი გაისმა. ის გამომძიებელს თავისთან უხმობდა.

„როგორც ვიცი, მოსამართლის ბინაში მომხდარი მკვლელობა გახსნილია. რაც შეიძლება მალე უნდა გადასცეთ საქმე სასამართლოს, რადგან მოსკოვიდანაც გვაწვებიან და აქაც, დაინტერესებულნი არიან, რომ ყველაფერი მალე დასრულდეს“, – თქვა პროკურორის მოადგილემ და იმის მიუხედავად, რომ გამომძიებელი ამტკიცებდა, მკვლელი სხვა არის, ეს იბრალებსო, სამი დღის ვადა მისცა იმისთვის, რომ საქმე დაეხურა და სასამართლოსთვის გადაეცა.

განყოფილებაში დაბრუნებულ გამომძიებელს საინტერესო ამბავი დახვდა. მისმა თანამშრომლებმა გაქექეს და დაადგინეს, რომ გოგონა, რომელიც მოკლულმა წლების წინ გაიტანა... პროკურორის იმ მოადგილის შვილი იყო, რომელიც საქმის დახურვას კატეგორიულად ითხოვდა. აუცილებელი იყო მასრაზე ნაპოვნი თითის ანაბეჭდის შედარება პროკურორის მოადგილის ანაბეჭდთან, მაგრამ როგორ? ვერავინ გაბედავდა პროკურორისთვის ამაზე სანქცია მოეთხოვა. ამიტომ, გამომძიებელი კვლავ პროკურორის მოადგილესთან წავიდა, რაღაც სისულელეზე ესაუბრა, შემდეგ მისი მაგიდიდან კალამი აიღო და ზუსტად იგივენაირი, ოღონდ სხვა კალამი დააბრუნა. ორ საათში, ექსპერტის დასკვნა მაგიდაზე იდო – ბინაში, ტყვიის მასრაზე ნაპოვნი ანაბეჭდები სამხარეო პროკურორის მოადგილეს ეკუთვნოდა. ამ დასკვნით გამომძიებელი მინისტრთან შევიდა და მან გენერალურ პროკურორს სანქციის გაცემა დაავალა. მის დასაკავებლად ბინაში მივიდნენ, მორიდებით დააკაკუნეს და უთხრეს, ყოველგვარი ხმაურისა და ბორკილების გარეშე აპატიმრებდნენ. პროკურორის მოადგილემ თავი დახარა, გასაგებიაო, თქვა და ოთახში შებრუნდა, შვილს დავემშვიდობებიო. სამართალდამცავები ფეხდაფეხ მიჰყვნენ და დაინახეს ეტლში მჯდომი გოგონა, რომელიც მამას მხურვალედ მოეხვია და ერთადერთი რამ ჰკითხა – „მალე მოხვალ?!“

„თქვენ როგორ ხასიათზე დადგებოდით, კაცი, რომელმაც შვილი სამუდამოდ ეტლს მიაჯაჭვა, ციხიდან ვადაზე ადრე რომ გამოეშვათ? ამიტომ, მისი დასჯა გადავწყვიტე, თანაც იმ მოსამართლის ბინაში, რომელმაც ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. თანამდებობა არ გამომიყენებია, დარწმუნებული ვიყავი, მოსამართლე საქმეს გაეცნობოდა, მერე მითხრეს, რომ ის ჩემი შვილის ჯანმრთელობის ცნობით არც კი დაინტერესებულა, არ მოუკითხავს, როგორ იყო გოგონა, უბრალოდ, დაუდასტურეს, რომ ცოცხალია და მორჩა. წლებია, „ჩუქჩა“ ჩემი ინფორმატორია და ბოლოს, ორი წლის წინ, სერიოზული გაუგებრობიდან დავიხსენი, რომ არ მეშველა და საქმე „გამსკდარიყო“, თავისი ძმა-ბიჭები მოუღებდნენ ბოლოს. ამიტომ, ამ საქმეზე მისი დათანხმება არ გამჭირვებია, მით უმეტეს, ავუხსენი, რომ პროკურორი მინიმალურ სასჯელს მოითხოვდა, რადგან მან კრიმინალი მოკლა და ვადაზე ადრე გათავისუფლებასაც დავპირდი. ის მასრა რომ მეპოვა, ვერასდროს ვერაფერს დაამტკიცებდით, მაგრამ ვერ ვიპოვე. ბინის ქურდმა კარი რომ გააღო, მე ფეხდაფეხ შევყევი და იარაღიც სამჯერ იმიტომ ვესროლე, რომ სიკვდილის წინ ტკენოდა კიდეც, ზუსტად ისე ტკენოდა, როგორც მე მტკივა. „ჩუქჩა“ იქ საერთოდ არ ყოფილა, მერე მოვუყევი ყველაფერი, როცა იარაღი მივეცი“, – დაასრულა მოყოლა პროკურორის მოადგილემ.

სასამართლომ მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა შემდეგ საქმის გადახედვის დროს, ვადა 8 წლამდე შეუმცირეს, საიდანაც 6 წელი მოიხადა.

ბათო ჯაფარიძე

საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ცეკვას ყოველთვის გამორჩეული ადგილი ეჭირა. ქართული ცეკვის ანსამბლებს მსოფლიო აქვთ მოვლილი და მათ სტუმრობას ნებისმიერ ქვეყანაში გულგრილი არავინ დაუტოვებია. ასე იყო კომუნისტების დროსაც, თუმცა მაშინ აქცენტი ეროვნულ ცეკვებზე კეთდებოდა, სამეჯლისო ცეკვებს კი დიდად არ სწყალობდნენ. სწყალობდნენ კი არა, ერთი პერიოდი აკრძალულიც კი იყო. შემდეგ ეს შეზღუდვები მოიხსნა და სამეჯლისო ცეკვების სკოლებიც გაჩნდა.

სისხლიანი ტანგო

კრიმინალმა ქმარმა მოცეკვავე ცოლის არასრულწლოვანი საყვარელი ჩაცხრილა

ერთ-ერთი ასეთი წარმატებული სკოლა აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ქალაქში იყო და მას საკმაოდ ცნობილი ქალბატონი ხელმძღვანელობდა - 50-ს გადაცილებული, თუმცა ყველა რეპეტიციას თავად უძღვებოდა, გვარიანად იღლებოდა და მოწაფეებსაც ღლიდა. სამეჯლისო ცეკვებზე, ძირითადად, სკოლის ბავშვები დადიოდნენ, სკოლის დასრულების შემდეგ კი ცეკვაც სრულდებოდა და მოზარდები ან უმაღლეს სასწავლებლებში აბარებდნენ, ან ტექნიკუმებში, ან ჯარში მიდიოდნენ, გოგონები კი თუ უმაღლესში ვერ მოხვდებოდნენ, საექთნოზე სცდიდნენ ბედს. გაზაფხულის ბოლო რეპეტიციაზე მასწავლებელმა ტანგო იცეკვა და პარტნიორს დანანებით უთხრა - ესეც ჩვენი უკანასკნელი ტანგო! ამის შემდეგ, ბავშვები წამოიშალნენ, პედაგოგთან მისვლა დააპირეს, რათა დამშვიდობებოდნენ, თუმცა მოულოდნელად, დარბაზის კარში ვიღაცის სილუეტი გამოჩნდა, იმ ბიჭს, რომელიც ბოლოს ეცეკვა პედაგოგს, ნაგანი დაუმიზნა და ესროლა. ბიჭი უსულოდ დაეცა. სანამ ბავშვები და პედაგოგი ერთ ხმაში კიოდნენ, მკვლელი მიიმალა.

„ჩემთან სკოლის შემდეგ იშვიათად ჩერდება ვინმე. ეს ბიჭი მართლა დამენანა, საოცარი მონაცემები ჰქონდა, დარწმუენბული ვარ, ცეკვას რომ გაჰყოლოდა, აუცილებლად ექნებოდა წარმატებები, მაგრამ მან სამედიცინოზე ჩაბარება გადაწყვიტა. წესი მაქვს ასეთი, ყოველი წლის ბოლოს, გამორჩეულ მოსწავლესთან ბოლო ტანგოს ვცეკვავ და ეს იცის ყველამ. ახლაც ასე იყო, ბოლო ტანგო ვიცეკვეთ, შემდეგ კი მოხდა ის, რაც მოხდა. წარმოდგენაც არ მაქვს, როგორ შეიძლება, ამ ასაკში ბავშვს ჰყავდეს ამ დონის მტერი, მით უმეტეს, წესიერ ბავშვს“, - ეს იყო მასწავლებლის მონათხრობი.

ძალოვნებს ბევრი არ უფიქრიათ, ერთ-ერთი მოსწავლის ძმა დააკავეს. როგორც გაარკვიეს, ეს მოსწავლე მოკლულის შეყვარებული იყო, ძმა ყველაფერ ამას კარგად არ უყურებდა და გარდაცვლილი ერთხელ უკვე ჰყავდა სასტიკად ნაცემი, თანაც დაკავებულს „ბეგრაუნდიც“ ხელს უწყობდა - ორჯერ ნასამართლევი, ორივეჯერ ყაჩაღობისთვის. დაკავებულმა ყურადღებით მოუსმინა გამომძიებლებს და ჩუმად თქვა - სჯობს ქურდობისთვის ჩავჯდე, ვიდრე მკვლელობისთვის. სწორედ მაგ დროს, გვერდით რაიონში, ერთ-ერთ საწყობს ვქურდავდი, ავტომანქანის საბურავებს ვიპარავდი და ათი ცალი მოვიპარე კიდეცო. გადაამოწმეს და მართალი გამოდგა. შესაბამისად, დაკავებულს ბრალდება გადაუკვალიფიცირეს და ქურდობის მუხლით გაასამართლეს, თუმცა ამით გამოძიებას შეღავათი ნამდვილად არ ჰქონია - ერთადერთი ეჭვმიტანილი წაუვიდა ხელიდან.

სხვა მოსწავლეებიც დაკითხეს და აღმოჩნდა, რომ ბიჭის შეყვარებულის ძმის გარდა, გარდაცვლილს არათუ კონფლიქტი, არამედ, უბრალო უთანხმოებაც კი არ ჰქონია არავისთან. გამოძიება სხვა ვერსიაზე წავიდა - იქნებ, მსროლელი არა ბიჭის, არამედ სხვის მოკვლას აპირებდა და ის სხვა, ყველა ვარიანტში, მასწავლებელი უნდა ყოფილიყო, რადგან მათ სიახლოვეს ბავშვები ჯერ მისულები არ იყვნენ, მკვლელმა კი სწორედ ამ ორის მიმართულებით გაისროლა, თუმცა როცა დაკითხვის ოქმებს კარგად გაეცნენ, მიხვდნენ, რომ მასწავლებელი არაფერ შუაში იყო, რადგან პირველი გასროლის შემდეგ, ბიჭი დაეცა და მკვლელმა მეორე ტყვია უკვე დაცემულს ესროლა ანუ ხელი დაბლა დასწია და მასწავლებლის მოკვლა რომ სდომოდა, ასე არ მოიქცეოდა.

გარდაცვლილის ოჯახში სტუმრობა ძალიან ძნელი იყო. ოჯახი შვილის სტუდენტობისთვის ემზადებოდა და ამის ნაცვლად, მისი გასვენება უწევდათ. მომხდარს ახსნას ვერც ისინი უძებნიდნენ და ამბობდნენ, რომ მათ შვილს არასდროს ჰქონია ვინმესთან კონფლიქტი და მით უმეტეს, ისეთი დაპირისპირება რომ ჰქონოდა, ვინმეს სასიკვდილოდ გაემეტებინა, აუცილებლად გაიგებდნენ. იგივე დაადასტურეს მეზობლებმა და გამოდიოდა, რომ მოხდა რაღაც, რამაც ვიღაც აიძულა, სპონტანური გადაწყვეტილება მიეღო და მოეკლა ბავშვი, რომელსაც ყველა დადებითად ახასიათებდა. გადაწყდა, მშობლების თანდასწრებით, შეყვარებული დაეკითხათ.

„არასდროს შემინიშნავს მისთვის რაიმე ისეთ, რაც შესაძლოა, ყველაფერ ამის მიზეზი გამხდარიყო. როცა ჩემთან შეხვედრა დაიწყო, ისიც კი მითხრა, შენამდე მიყვარდა ქალი, მაგრამ მივხვდი, რომ ის ჩემი შესაფერისი არ არისო და მეტი არაფერი უთქვამს. არც ვიცი, ვინ იყო ის ქალი და როცა ვკითხე, ქალი თუ გოგო-მეთქი, დამიკონკრეტა - არა, ქალი მიყვარდა, ქალიო. ამ თემას აღარასოდეს დავბრუნებივართ“, - გაიხსენა შეყვარებულმა.

გოგონას ნათქვამი ოჯახმა კატეგორიულად უარყო, ჩვენს შვილს კარგად ვიცნობდით, ამ გოგომდე შეყვარებული არ ჰყოლიაო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბიჭი რაღაცას მალავდა და ის რაღაც, შესაძლოა, მკვლელობის მიზეზი გახდა. სხვა რომ ვერაფერი გაიგეს, გოგონას სახლში მიაკითხეს და სამართალდამცავთა ყურადღება კედელზე გაკრულმა სურათებმა, სიგელებმა და მედლებმა მიიქცია. გოგონამ თქვა, ეს სხვადასხვა ტურნირებზე მიღებული მედლებიაო და გულდაწყვეტით დააყოლა, მე და გარდაცვლილს შეჯიბრი არასოდეს მოგვიგია, თუმცა ამის მცდელობა და შანსი არაერთხელ გვქონდაო. ამ სიტყვებმა გამომძიებლები გააოცა, აკი, ამბობდა მასწავლებელი, ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ მოცეკვავეს ვემშვიდობებოდიო. მოიკითხეს და გაარკვიეს, რომ ბიჭი ჩვეულებრივზე დაბალი დონის მოცეკვავე იყო, როცა კი შეჯიბრზე წავიდა, ყოველთვის უკანასკნელ პოზიციებზე იყო. მასწავლებელს მიადგნენ და იმან კიდევ აქეთ უყვირა მილიციის თანამშრომლებს, ახლა თქვენ მასწავლეთ, ვინ ნიჭიერი და ვინ - უნიჭო, ამ საქმეს მთელი ცხოვრება შევალიე, ეს ბიჭი უდიდესი მოცეკვავე გახდებოდა, უბრალოდ, გახსნა სჭირდებოდა და შეჯიბრებებს ამიტომ არ ვაკლებდიო.

წესითა და რიგით, სამართალდამცავებისთვის ეს პასუხი დამაკმაყოფილებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ გაჩერდნენ და სხვა სპეციალისტებს ჰკითხეს, შეჯიბრებებზე ეს ბიჭი თუ გახსოვთ და როგორი მონაცემები ჰქონდაო?! ყველამ ერთხმად აღიარა, რომ იმ ბიჭისგან საშუალო დონის მოცეკვავეც კი არ გამოვიდოდა და მას მონაცემი არ ჰქონდა. ამიტომაც, ძალიან უკვირდათ გამოცდილი და ცნობილი მასწავლებლის სიჯიუტე, რომელიც ბიჭს შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლებას მუდმივად აძლევდა და ყველამ იცოდა, რომ ბოლო ადგილი გარანტირებული ჰქონდა. ამიტომ, გამომძიებლებმა მასწავლებლის შესწავლა დაიწყეს და რაღა თქმა უნდა, საუკეთესო წყაროს, მის მეზობლებს მიაკითხეს. მასწავლებელი ყველამ დადებითად დაახასიათა, ცხოვრებაში მხოლოდ ქმარში არ გაუმართლა, თორემ თავად და შვილებიც განათლებული, წესიერი ხალხია, შვილები უკვე დიდები არიან, ცალკე ცხოვრობენო. ქმარს რაც შეეხება, ის ციხიდან ახალი გამოსული იყო, შავი სამყაროს აქტიური წევრი და მართალია, ე.წ. კანონიერი ქურდი არ გახლდათ, მაგრამ ავტორიტეტით აშკარად სარგებლობდა. ჰოდა, ერთმა მეზობელმა ისიც თქვა, მას შემდეგ, რაც ქმრის გამოსვლა მოახლოვდა, ის პატარა ბიჭი სახლში აღარ მოჰყავდაო. გამომძიებლებმა მეზობელს რამდენიმე სურათი აჩვენეს და მან გარდაცვლილი ამოიცნო - ეს ბიჭი ქალთან ხშირად დადიოდაო. ძალოვნებმა ცალკე ქმარი დააკავეს და ცალკე - ცოლი. სანამ გამოცდილ კრიმინალს არანაკლებ გამოცდილი გამომძიებლები ჰკითხავდნენ, ქალს საკმარისზე მკაცრად გაესაუბრნენ, ხელიც კი გაარტყეს და ისიც მიანიშნეს, შენი ქმარი ჩვენებას წერს და ამბობს, ეჭვიანობის ნიადაგზე მოვკალი ის ბიჭი და ექვს წელზე მეტი არ მეკუთვნისო. ქალმაც მოყოლა დაიწყო.

„წლებია, მარტო ვცხოვრობ, ქმარი ციხეში, შვილები - სხვა ქალაქში. ერთხელ ჩემი მოწაფე მოვიდა სტუმრად, ცეკვა არ გამომდის, უნდა გავიდეო. ადამიანურად შემეცოდა და ვუთხარი, რამდენიმე გაკვეთილს შინ ჩაგიტარებ დამატებით-მეთქი. კი იცით, სამეჯლისო ცეკვები როგორია, აქტიურ კონტაქტს მოითხოვს და სახლში, მაყურებლებისა და სხვა მოსწავლეების გარეშე, თითქოს ყველაფერი თავისთავად მოხდა. ორივემ ვიცოდით, რომ ვაშავებდით, მაგრამ გაჩერება არ შეგვეძლო. მაშინ მივხვდი, ძალიან რომ შევტოპე, როცა ბიჭმა მითხრა, მიყვარხარ, ცოლად გამომყევიო. სწორედ მე ვიყავი დაშორების ინიციატორი და ცოტა უხეშადაც მომივიდა. როცა ქმარი გამოვიდა ციხიდან, ვიღაცამ უთხრა, შენი ცოლი ახალგაზრდა ბიჭთან ერთობოდაო. სკანდალი მომიწყო, მე უარზე ვიყავი, მაგრამ მერე იმ ბიჭის ორი თუ სამი მაისური ნახა ჩემთან და დამალვასაც აზრი არ ჰქონდა. მკვლელობის დღეს, სილუეტით ვიცანი, მაგრამ შემეშინდა და ვერ ვთქვი. მეგონა, მეც მომკლავდა“, -აღიარა ქალმა.

ეს ჩვენება ქმრის წინააღმდეგ სასამართლოში მარტივად გამოიყენეს, მით უმეტეს, რომ იარაღი მკვლელობაში ბრალდებულის მეგობრის სახლში ნახეს და ამჯერად, რეციდივისტს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ცეკვის წრე კი, უბრალოდ, დაიხურა, რადგან მას შემდეგ, მასწავლებელი იმ ქალაქში აღარავის უნახავს.

28 მარტიდან, მოპედისა და მსუბუქი კვადროციკლის რეგისტრაცია და შესაბამისი მართვის უფლების მოპოვება სავალდებულო გახდა

„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად, განისაზღვრა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ახალი კატეგორია – AM, რომელიც აერთიანებს მოპედებსა და მსუბუქ კვადროციკლებს.

28 მარტიდან, მოპედისა და მსუბუქი კვადროციკლის რეგისტრაცია და AM კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოპოვება სავალდებულო გახდა.

AM კატეგორიის მართვის უფლების მოსაპოვებლად ასაკობრივი ზღვარი განისაზღვრა 16 წლიდან. მოპედებსა და მსუბუქ კვადროციკლებზე მართვის უფლების მოსაპოვებლად საჭიროა მხოლოდ თეორიული გამოცდის ჩაბარება. თეორიულ გამოცდაზე ერთჯერადად, პირველად გასვლის დროს, დაინტერესებული პირები სრულად თავისუფლდებიან გამოცდაზე გასვლის საფასურისგან. AM კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ თეორიულ გამოცდაზე გასვლა შესაძლებელია რიგში ადგილის დაჯავშნის გარეშე.

ასევე, აღსანიშნავია, რომ თუ პირი ფლობს ნებისმიერი კატეგორიის/ქვეკატეგორიის მართვის უფლებას, მას უფლება აქვს, მართოს AM კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებები.

28 მარტიდან, AM კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაცია შესაძლებელია მომსახურების სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებში, დაინტერესებული პირის მიერ საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში.

ამასთან გაცნობებთ, რომ დადგენილი კანონმდებლობის მიხედვით, რეგისტრაციის წესების დარღვევა და მართვის უფლების გარეშე მოპედითა და მსუბუქი კვადროციკლით გადაადგილება გამოიწვევს პირის დაჯარიმებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

თბილისში, 27 მარტს მიმდინარე საპროტესტო აქციის ფარგლებში, სხვადასხვა ადგილზე, აქციის მონაწილეებმა სატრანსპორტო კვანძის გადაკეტეს. აღნიშნული ქმედება დედაქალაქში სატრანსპორტო კოლაფსს იწვევს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, როგორც მართლწესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი უწყება, მოუწოდებს ყველა მოქალაქეს, აქციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს, დაიცვან მართლწესრიგი, გახსნან სატრანსპორტო მოძრაობა და დაემორჩილონ პოლიციის კანონიერ მოთხოვნებს.

აქციის მიმდინარეობისას, სამართალდარღვევის ნებისმიერი ფაქტი პოლიციის მიერ, კანონის ფარგლებში იქნება აღკვეთილი.

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო – დაკავებულია ექვსი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში, შიდა ქართლში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები ამოიღეს და ექვსი პირი დააკავეს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, თბილისში, წარსულში არაერთგზის ნასამართლევი, 1977 წელს დაბადებული ბ.ხ. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, TT-ს ფირმის ცეცხლსასროლი პისტოლეტი, 1 მჭიდი და 8 ცალი ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის კასპის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1992 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი თ.ღ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა კასპის მუნიციპალიტეტში, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლიდან, ნივთმტკიცებად ამოიღეს პისტოლეტი და 4 საბრძოლო ვაზნა.

მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 1990 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი მ.ბ. ასევე ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენისა და შენახვის ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, გადაჭრილი თოფი – ე.წ. აბრეზი და 9 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1971 წელს დაბადებული თ.ზ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა სოფელ ბაკურციხეში, მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, არარეგისტრირებული გადაჭრილი სანადირო თოფი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა კი ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარებისთვის ზუგდიდში დააკავეს 1964 წელს დაბადებული რ.პ. სამართალდამცველებმა, მისი ავტომობილის ჩხრეკისას, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

აბაშის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1963 წელს დაბადებული დ.მ. საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისთვის დააკავა. მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო – ხელყუმბარა და ტროტილის 3 ცალი კოჭა.

დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

სამეგრელოს პოლიციამ ფოთში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის და ფოთის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული რ.გ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ნაცნობს – 1992 წელს დაბადებულ კ.ხ.-ს, მისსავე საცხოვრებელ სახლში, თავის არეში ბლაგვი საგნის გამოყენებით დაზიანება მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. კ.ხ. მიყენებული დაზიანების შედეგად გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა დანაშაულში ბრალდებული პირი მომხდარიდან რამდენიმე წუთში, ფოთში დააკავეს. პოლიციამ შემთხვევის ადგილიდან დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შშმ პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შშმ პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით, სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების წარმომადგენლებმა აღნიშნულ თემაზე მომუშავე საკონსულტაციო ჯგუფთან ორდღიანი სამუშაო შეხვედრა გამართეს.

ღონისძიება შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ და გაეროს განვითარების პროგრამის ადამიანის უფლებების პროექტის მენეჯერმა, მარიამ თუთბერიძემ გახსნეს.

სამუშაო შეხვედრა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით გაიმართა.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა სამინისტროს სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების წარმომადგენლებმა საკონსულტაციო ჯგუფის წევრებთან ერთად განიხილეს გეგმის პროექტით გათვალისწინებული მიზნები და ამოცანები, განსახორციელებელი აქტივობები და მათი შესრულების ინდიკატორები. შეხვედრის ფარგლებში, საკონსულტაციო ჯგუფის წევრებმა სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით, რეკომენდაციები და მოსაზრებები წარადგინეს.

განხილვების დასრულების შემდეგ დამტკიცდება 2022 წლის სამოქმედო გეგმა.

უკრაინაში მსოფლიოს ჩემპიონი მოკლეს

მარიუპოლში, სამხედრო შეტაკებების დროს, უკრაინელი, მსოფლიოს ჩემპიონი საბრძოლო სახეობებში, 25 წლის მაქსიმ კაგალი დაიღუპა. ის სარაკეტო დაბომბვას ემსხვერპლა. მაქსიმი ომის დაწყებისთანავე, სამშობლოში დაბრუნდა და იარაღით ხელში იცავდა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას.

„ძალიან დასანანია, რომ ომის მსხვერპლები საუკეთესოები ხდებიან. ის ჩვენს კლუბში პირველი მსოფლიო ჩემპიონი იყო, პირველი უკრაინელი, რომელმაც ISKA-ს ქამარი მოიპოვა. მაქსიმი, უბრალოდ, გულწრფელი და სამართლიანი ადამიანი იყო“, – ეს განცხადება საკუთარ გვერდზე, კაგალის პირადმა მწვრთნელმა, ოლეგ სკირტამ განათავსა, რომელიც ასევე იარაღით ხელში იბრძვის.

კაგალი მსოფლიო ჩემპიონი 2014 წელს გახდა. საბრძოლო ხელოვნების გარდა, ახალგაზრდულ ასაკში, რაგბისაც თამაშობდა და უკრაინის 7-კაცა რაგბის ჩემპიონატის გამარჯვებულიც იყო.

სპორტული სამყარო რუსებს კოჭს უგორებს

მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა და ყველაფერი ეს, ბელორუსების ხელშეწყობით მოხდა, მსოფლიოში, პრაქტიკულად, ყველა სპორტულმა ფედერაციამ რუს და ბელორუს სპორტსმენებს სანქციები დაუწესა. მათ არ აქვთ ტურნირებში მონაწილეობის უფლება და თუ გამონაკლისს მაინც დაუშვებენ, ისინი გერბისა და ჰიმნის გარეშე ასპარეზობენ. რუსმა სპორტსმენებმა გამოსავალი ნახეს, გერბის ნაცვლად, მაისურებზე ასო Z უწერიათ, რითაც საკუთარი ქვეყნის აგრესიას მხარს უჭერენ. ახლა კი ირკვევა, რომ არაერთი სპორტულ;ი ფედერაცია მზადაა, შეზღუდვები მოხსნას. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მოქმედმა თუ ვეტერანმა რუსმა სპორტსმენებმა ხმაური ატეხეს, აქაოდა, სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთო.

შედეგად, არაფერთმა სპორტულმა ფედერაციამ ოფიციალურად განაცხადა, რომ გადაწყვეტილებას 30 ივნისს გადახედავს (მანამდე აკრძალვები არ შეიცვლება) და გადაწყვეტილებებს იმის მიხედვით მიიღებს, თუ რა მდგომარეობა იქნება იმ დროისთვის უკრაინაში. მეტიც, თუ მანამდე რუსეთი უკრაინიდან ჯარს გაიყვანს, სპორტსმენებს ყოველნაირი შეზღუდვა მოეხსნებათ. არადა, თავიდან საუბარი იყო, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, აკრძალვები ძალაში 2024 წლამდე იქნებოდა, რათა რუსებს მწარედ ეგრძნოთ, რას ნიშნავს, როცა ქვეყანა არასწორად იქცევა. ახლა კი, 2024 წელს ვინ ჩივის, შეზღუდვების მოხსნას ზაფხულშივე აპირებენ.

ფიგურულ სრიალში ისტორია გადავწერეთ

მიუხედავად უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებებისა, სპორტული სამყარო არ ჩერდება და მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატები სპორტის სხვადასხვა სახეობებში აქტიურად იმართება. ერთი ეგაა, რუს და ბელორუს სპორტსმენებს მათში მონაწილეობის მიღება აკრძალული აქვთ. ასე იყო ამჯერადაც – მონპელიეს „სუდ დე ფრანს არენაზე“, ფიგურულ ციგურაობაში მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა. აღნიშნული პირველობა ქართული ფიგურული ციგურაობის ისტორიაში გამორჩეული იყო – საქართველომ პირველად იასპარეზა სრული გუნდით (ოთხივე დისციპლინაში) და ისტორიაში საუკეთესო შედეგიც აჩვენა. აქამდე, მსოფლიოს ჩემპიონატზებზე საუკეთესო ელენე გედევანიშვილის მე-10 ადგილი იყო, ახლა კი მორის ყვითელაშვილმა და ციგურაობის წყვილმა, კარინა საფინასა და ლუკა ბერულავას შემადგენლობით – მე-4 პოზიციები დაიკავა, ხოლო ანასტასია გუბანოვა მე-6 ადგილზე გავიდა.

ბოლოს, ყინულზე ცეკვებში ქართულმა დუეტმა იასპარეზა – ყინულზე მარია კაზაკოვა და გიორგი რევია გავიდნენ. მათ 98.62 ქულით თავისუფალში მე-14 პოზიცია დაიკავეს. საერთო ჯამში კი, 31 მონაწილეს შორის, 165.38 ქულით, მე-15 ადგილით დაასრულეს ასპარეზობა.

ახლა კი მთავარი – 2023 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი იაპონიის ქალაქ საიტამაში, 20-26 მარტს გაიმართება. მონპელიეს წყალობით, ვაჟებში, ქალებსა და წყვილებში 2-2 წარმომადგენლის გამოყვანის უფლება გვექნება, რაც იმას ნიშნავს, რომ საიტამაში საქართველო 10 სპორტსმენით წარდგება.

როგორც იქნა – ტოჩინოშინმა დადებითი ბალანსი დააფიქსირა

სუმოს უმაღლეს დივიზიონში მოასპარეზე ერთადერთმა ქართველმა სუმოისტმა, ლევან გორგაძემ 2019 წლის შემდეგ პირველად, სუპერტურნირზე დადებითი ბალანსი დააფიქსირა. არადა, ოსაკაში გამართულ ბაშოზე ტოჩინოშინს კვლავ უარყოფითი ბალანსი რომ ეჩვენებინა, უდიდესი შანსი იყო, ელიტარული დივიზიონიდან დაქვეითებულიყო. ტოჩიმ 15 შეხვედრიდან 9 მოიგო, 6 წააგო და შემდეგ ტურნირზე რანგით დაწინაურდება.

მომდევნო ბაშოს, რომელიც 8-22 მაისს ტოკიოში შედგება, ქართველი სეკიტორი უფრო მაღალი წოდებით შეხვდება. განახლებული რეიტინგი 25 აპრილს გამოქვეყნდება და ზუსტად გვეცოდინება, რამდენი საფეხურით წაიწევს წინ ტოჩინოშინი.

მსოფლიო მუნდიალის წილისყრისთვის ემზადება

უკრაინაში მიმდინარე ომის გამო, ცოტას თუ ახსოვს, რომ წელს მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი უნდა გაიმართოს. უკვე გაირკვა, რომ მუნდიალზე წასვლას ზედიზედ მეორედ ვერ ახერხებს იტალიის ნაკრები, რომელიც პლეი-ოფის შეხვედრაში, საკთარ მოედანზე, მაკედონიასთან დამარცხდა. ახლა მაკედონიელები საგზურისთვის პორტუგალიას შეხვდებიან, იტალია კი გახდა მეორე ნაკრები დანიის შემდეგ, რომელმაც ევროპის ჩემპიონატი მოიგო და შემდეგ მსოფლიოზე გასვლა ვერ მოახერხა.

ისტორიაში პირველად, ტურნირი ზაფხულის ნაცვლად, ზამთარში გაიმართება, რადგან მასპინძელი ყატარია და იქ ზაფხულში ფეხბურთის თამაში კი არა, მზეზე 10 წუთით დგომაც კი ჯანმრთელობისთვის სახიფათოა. რაც შეეხება უშუალოდ შეჯიბრს – ის 2022 წლის 21 ნოემბრიდან 18 დეკემბრის ჩათვლით გაიმართება. წესისამებრ, მუნდიალზე მონაწილეობას 32 ქვეყნის ნაკრები მიიღებს, თუმცა საბოლოო შემადგენლობა ჯერ გარკვეული არაა. საინტერესოა, რა პრინციპით შედგება ფინალური ეტაპის კენჭისყრა. ფიფამ ოფიციალური განმარტება გასულ კვირას გამოაქვეყნა.

ტურნირზე მონაწილე 32 ნაკრები ოთხ კალათში გადანაწილდება, თითოში კი 8 გუნდი იქნება მოთავსებული. ამის გარდა, იქნება ცალკე კალათებიც, რომლებიც ნაკრებებს ჯგუფებში ნუმერაციის მიხედვით დააწყობს – A-დან H ჯგუფამდე. კენჭისყრით დაკომპლექტდება 8 ჯგუფი. პირველ ეტაპზე, 8 ჯგუფში, სრულად გადანაწილდება პირველ კალათში მყოფი გუნდები, შემდეგ იქნება მეორე, შემდეგ მესამე და ბოლოს მეოთხე.

წილისყრის დროს იქნება რამდენიმე შეზღუდვაც. ყატარს, როგორც მასპინძელ ქვეყანას მიენიჭება A-1 ნომერი, რომელიც ავტომატურად A ჯგუფში ჩაჯდება, შემდეგი 7 ჯგუფის ლიდერი გუნდი კი ტოპ-7 გუნდიდან გაირკვევა.

FIFA-ს წესებით, თითო ჯგუფში, თითო კონტინენტიდან თითო კვალიფიცირებული გუნდი უნდა იყოს. ასე, მაგალითად, არგენტინის ან ბრაზილიის ნაკრების ჯგუფში ვერ მოხვდება რომელიმე სხვა სამხრეთ ამერიკული ნაკრები, თუმცა ეს შეზღუდვა არ ვრცელდება ევროპულ გუნდებზე. თითო ჯგუფში უნდა იყოს მინიმუმ ერთი და არაუმეტეს ორი ევროპული ნაკრები. ვინაიდან, ევროპიდან მსოფლიო ჩემპინატზე 13 გუნდი იქნება კვალიფიცირებული, მსოფლიო ჩემპიონატის 8 ჯგუფიდან 5-ში ევროპის კონტინენტს ორ-ორი გუნდი ეყოლება.

კალათის წევრები 31 მარტის შემდეგ გაირკვევა, როდესაც FIFA მარტის თვის მსოფლიო რეიტინგს განაახლებს. პირველ კალათში, რეიტინგის მიხედვით, მსოფლიო ჩემპიონატზე კვალიფიცირებული 7 საუკეთესო გუნდი ჩაჯდება, შემდეგ მეორე კალათი შეივსება მომდევნო 8 საუკეთესო კვალიფიცირებული გუნდით, მესამეც ამ პრინციპით დაკომპლექტდება, მეოთხეში კი 5 ყველაზე მაღალ რეიტინგული გუნდი ჩაჯდება, რომელსაც ორი საკონტინეტთაშორისო ფლეი-ოფის და ასევე UEFA-ს ფლეი-ოფის გამარჯვებული დაემატება.

ჯგუფური ეტაპი 2 დეკემბრამდე გაგრძელდება.

1/8 ფინალი – 3-5 დეკემბერი;
1/4 ფინალი – 9-10 დეკემბერი;
1/2 ფინალი – 13-14 დეკემბერი.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს, 18 დეკემბერს, „ლუსაილის“ არენა უმასპინძლებს, სტადიონზე 80 ათასი მაყურებელი ეტევა.

სკანდალი ბრიტანეთში – აფრიკელს კარგ კონტრაქტს არ გაუფორმებენ

მოჰამედ სალაჰი, 2017 წელს, „რომადან“ „ლივერპულში“ გადავიდა. ამ პერიოდის განმავლობაში, ეგვიპტელმა ნახევარმცველმა „ლივერპულის“ მაისური ყველა ტურნირზე ერთად 239-ჯერ მოირგო, 153 გოლი გაიტანა და 57 საგოლე გადაცემა შეასრულა. მან კლუბთან ერთად პრემიერ ლიგის და ჩემპიონთა ლიგის ტიტულის მოგებაც შეძლო და იმის გათვალისწინებით, რომ 2017 წელს გაფორმებულ ხუთწლიან კონტრაქტს ვადა ამ ზაფხულს გასდის, კლუბმა სალაჰთან მოლაპარაკებები დაიწყო, თუმცა, როგორც ამბობენ, ეგვიპტელი შეთავაზებული წინადადებით უკმაყოფილოა და ბევრად მეტს ელოდა. რეალურად, სალაჰი „ლივერპულის“ უდაო ლიდერია და მისი წასვლით გუნდი ძალიან ბევრს დაკარგავს. დაკარგვას ვინ ჩივის, მწვრთნელს სათამაშო სქემის გადაწყობაც კი მოუწევს.

„სალაჰის კონტრაქტის გარშემო შექმნილი ვითარება კარგად მესმის. ზუსტად იმავე სიტუაციაში ვიყავი, როგორშიც თვითონ არის ახლა. სალაჰმა უნდა გაიაზროს, რომ აფრიკელია და მას ისეთ კარგ კონტრაქტს არ გაუფორმებენ, როგორიც ევროპელს ექნებოდა. ჩვენ, აფრიკელებს გამუდმებით სხვანაირად გვექცევიან. მაგალითად, მე მეუბნებოდნენ, რომ ნაკრებში სათამაშოდ არ უნდა წავსულიყავი. დარწმუნებული ვარ, მოჰამედსაც იგივე პრობლემა აქვს“, – ეს განცხადება ვეტერანმა ფეხბურთელმა, ელ ჰაჯი დიუფმა გააკეთა, რომელიც თავის დროზე, პრემიერ-ლიგაში ბრწყინავდა და ახლა ამბობს, რომ კარგ კონტრაქტს აფრიკელობის გამო არ უფორმებდნენ.

ძალიან დიდია იმის შანსი, რომ დიუფის განცხადების შემდეგ, გამოძიება დაიწყოს და ფეხბურთელს დაკონკრეტება მოუხდეს იმ ადამიანების სახელებისა, რომლებიც ამას ეუბნებოდნენ.

„21-ე საუკუნეში ხელოვნება აგრესიული გახდა“

ეია გრიგალაშვილი

რას ურჩევს ახალგაზრდა მხატვრებს ცნობილი ფერმწერი და საზოგადო მოღვაწე გოჩა ზირაქიშვილი

ხელოვნება, შესაბამისად, მხატვრობაც ადამიანთა სამყაროს, ამ სამყაროში არსებულ სილამაზეს, განცდებსა და ემოციებს ასახავს. ხელოვანები განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები არიან. საქართველოს უამრავი ცნობილი, ღირსეული და დიდებული ხელოვანი ახსოვს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ქვეყნის კულტურულ განვითარებაში – მათი წყალობით, უმშვენიერეს ნამუშევრებს ვეზიარეთ. აქედან გამომდინარე, ისტორიამ გვიჩვენა, თუ როგორ მოქმედებს ხელოვნება ადამიანის ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე, დადებით იმპულსზე, ცხოვრების წესის შეცვლაზე.

როგორ ვითარდება დღევანდელ საქართველოში ხელოვნება, როგორია პროფესიონალის თვალით დანახული მხატვრობა და რა სირთულეებს აწყდებიან? – „ვერსია“ მხატვარს, ფერმწერსა და საზოგადო მოღვაწე გოჩა ზირაქიშვილს ესაუბრა.

– ბატონო გოჩა, პირველ რიგში, თქვენზე მიამბეთ – რა ასაკიდან დაიწყეთ ხატვა და როდის გქონდათ პირველი პერსონალური გამოფენა?

– ორი წლიდან ვხატავ, პედაგოგები სკოლაში მშობლებს იბარებდნენ ხოლმე, არ გვისმენს და რვეულში რაღაცებს ჯღაბნისო. გადაშლიდნენ რვეულს და ნახულობდნენ, რომ გადაჭრელებული მქონდა ნახატებით. მერე, მშობლებმა შეამჩნიეს ჩემი ხელოვნებისკენ მიდრეკილება და მაშინდელ „პიონერთა სასახლეში“ მიმიყვანეს. ამ ასაკიდან დაიწყო ჭეშმარიტ ხელოვნებასთან შეხება. თბილისის სამხატვრო აკადემიის დასრულების შემდეგ, პირველი პერსონალური გამოფენა 1985 წელს გავაკეთე – მაშინ ახალი ჩამოსული ვიყავი ჯარიდან. აქედან დაიწყო სერიოზული გზა პროფესიონალიზმისკენ. მანამდე და მას შემდეგაც, სხვადასხვა მხატვართან ერთად, როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებში, საერთაშორისო გამოფენებში ვმონაწილეობ.

მიყვარს სხვადასხვა სტილში მუშაობა, იქნება ეს კლასიკა, აბსტრაქცია თუ თანამედროვე, განსხვავებული ტექნიკა. არის მომენტები, როდესაც აღარ მინდა ტილოზე ხატვა და სხვა რაღაცაზე, რაც კი ხელში მომხვდება, გადავდივარ – მოხატვას ან დამუშავებას ვიწყებ. თუ დავინახავ, რომ მეზობელი ძველი სათამაშოების გადაყრას აპირებს, წავართმევ ხოლმე და



იმ სათამაშოების თვალებსაც კი მასალად ვიყენებ. ეს უფრო მეტყველს ხდის ნახატს და თემასთან ახლოს მივყავარ. ცოცხალი თევზიც მაქვს დამუშავებული და შემდეგ, ნახატზე გადატანილი. საერთოდ, თევზი ბევრ კომპოზიციაში მაქვს გამოყენებული. ზოგჯერ, როდესაც აკადემიურ შეკვეთას ვასრულებ, რასაც დიდი დრო მიაქვს, ვცდილობ, დავუბრუნდე ძველ ნამუშევარს, რომელიც არ დამისრულებია. ეს მეხმარება, რომ არ გადავაჭარბო, რამე არ გავაფუჭო და არ გადავიღალო.

– შეკვეთებს ხშირად იღებთ და რა დროს ანდომებთ შესრულებას?

– ესაა ჩემი შემოსავლის ერთადერთი წყარო – ძირითადად, შეკვეთებზე მიწევს მუშაობა, ამ დროს იძულებული ხარ, გადადო შენი იდეები ანუ ის, რაც შენში ტრიალებს და საკუთარ განცდებთანაა დაკავშირებული. შეიძლება, მთელი წელი ისე გავიდეს, რომ ერთი შეკვეთაც არ იყოს, მაგრამ არის მომენტები, როდესაც ერთი შეკვეთა არ მაქვს დასრულებული და მეორე, მესამე, მეოთხე მოდის. ახლა, გვიან შემოდგომამდე მაქვს გაწერილი გრაფიკი, ვის რა უნდა შევუსრულო. შეკვეთილი ნახატის შესრულება ყველაზე დიდი, შეიძლება, ორი თვე გაგრძელდეს. მეორე წელია, დედას ვუვლი და სახლის საქმეებს ვაკეთებ, ასევე, ძაღლი მყავს, რომელსაც მოვლა და გასეირნება უნდა. ნახევარზე მეტი დღე ამ პროცესს მიაქვს. შეიძლება, ადრე იგივე ნახატზე ორი კვირა მემუშავა, რასაც ახლა ორ თვეს ვანდომებ.

– როგორც აღნიშნეთ, ბევრი შეკვეთა გაქვთ, რის გამოც იძულებული ხართ, თქვენი სურვილები გადადოთ და ისე დახატოთ, როგორც დამკვეთს სურს. ასე მუშაობა რთულია?

– ვცდილობ, შუალედებში, სანამ ერთიდან მეორე შეკვეთაზე გადავალ, ან ახალი შემოვა, დავხატო ის, რაც ჩემშია დალექილი, რა განცდებიც მაქვს. ხანდახან, ქუჩაში რომ მივდივარ, გონებით სულ სხვაგან ვარ, ეს შემოქმედებით სამყაროში ფრენაა – ვფიქრობ ახალ ტილოზე ან ძველზე, რომელიც ვერ დავასრულე. ამ დროს სხვა სამყაროში გადიხარ, სადაც შენია ყველაფერი, ბედნიერი ხარ და იცი, იქ რა და როგორ გააკეთო.

ტილო, რომელიც ჯერ არ დამიწყია და მხოლოდ გონებაშია ესკიზის სახით, ფერსა და ფორმაში ჩემ სახელოსნოში მუშავდება და ლაგდება.

დასასრული მე-16 გვერდზე

„21-ე საუკუნეში ხელოვნება აგრესიული გახდა“

მე-15 გვერდიდან

ხშირად მიწევს ნახატის გადამუშავება, რადგან მეორე-მესამე დღეს ვუყურებ კრიტიკული თვალით, შეიძლება, სადღაც რაღაც გამომრჩა, ან უკეთესად შემეძლო დახატვა.

– გამოფენის მოწყობას გეგმავთ?

– მალე მექნება ჯგუფური, საგაზაფხულო გამოფენა, წელიწადში ორჯერ მაინც ვმონაწილეობ. პერსონალური გამოფენა, დიდი ხანია, აღარ გამიკეთებია. ხელოვანმა რომ პერსონალური გამოფენა მოაწყოს, ან ფული უნდა ჰქონდეს, ან ვიღაც უნდა ჰყავდეს, ვისი ხათრითაც უფასოდ დაუთმობენ დარბაზს.

– ბატონო გოჩა, რა არის ხელოვნების მთავარი დანიშნულება?

– ადამიანი მოწყვიტოს ტკივილს, წუხილს, განცდებს და მისცეს ბედნიერება, სიკეთე. კეთილშობილი ადამიანი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ხალხს აწვდის სიკეთისა და სიხარულის განცდას. ხელოვანთა ნამუშევრებში ყოველთვის ყველაფერ ამას ვეძებ. ის მაბედნიერებს, ადამიანს სიამოვნება რომ მივანიჭე ჩემი შემოქმედებით და არა ის, თუ რა შექება დავიმსახურე. ნახატი სიცოცხლის გაგრძელებაა, სადაც შეიძლება, მნახველმა ბევრად მეტი რამ დაინახოს, რაც შენ ვერ გადმოეცი. მას უდიდესი სულიერი სიმდიდრე უნდა მიჰქონდეს გამოფენიდან.

– როგორ აღწევს ხელოვანი პროფესიონალიზმის მაღალ დონეს?

– პროფესიონალი არ უნდა დაიღალოს, პროფესიონალი მაშინ ხარ, როდესაც გაგაღვიძებენ და ნახევრად მძინარე იმას დახატავ, რასაც გიკარნახებენ. შენ იმ დროს არ უნდა გტკიოდეს, არ უნდა გადიოდე პროფესიონალური ეთიკიდან. ჩემი ერთ-ერთი მასწავლებელი მეუბნებოდა, პროფესიონალი მაშინ გახდები, როდესაც ურნიდან ნაგავს დაგიყრიან და ამას ისე დახატავ, როგორც ვარდს და სხვა ყვავილს დახატავდიო. ის ნაგავიც ისეთ დონეზე უნდა დახატო, რომ აღტაცება გამოიწვიოს. წარმოიდგინეთ, რამხელა გზაა გასავლელი, რომ ყველაფერ ამას მიაღწიო. შენი ერთი ნახატიც კი ლაპარაკობს, ვინ ხარ და რა ხარ. წლების პრაქტიკა და თეორია გვაძლევს უნარს, რომ უკეთესი ნაშრომი შევქმნათ და გავაცნოთ საზოგადოებას.

– ზოგი ფიქრობს, რადგან ადამიანს აქვს ხატვის ნიჭი, არ სჭირდება დამატებით სწავლა ან შრომა. თქვენი პრაქტიკიდან გამომდინარე, რა მნიშვნელობა აქვს ხელოვანი ადამიანის ცხოვრებაში განვითარებასა და გამოცდილებას?

– ღმერთმა დაიფაროს ნებისმიერი ხელოვანი, რომ თვითკმაყოფილებას მიეცეს და დაჯერდეს ნიჭიერებას, თუნდაც მილიონი შექება დაიმსახუროს. შრომის, განვითარებისა და სწავლის გარეშე, ადამიანი დაღუპულია. ყოველთვის უკმაყოფილო ვარ ჩემი ნამუშევრებით, რადგან მუდმივად ვცდილობ განვითარებას. ნიჭიერი ზარმაცი არ არსებობს, ნიჭიერი ადამიანი არის ისე, როგორც გმირი ბრძოლის ველზე, ის მუშაობას, წვალობს დღე და ღამე, მასზე არაფერი არ მოქმედებს. თუ არ ვიმუშავე ჩემს თავზე, იქ გაწყდება განვითარების გზა. გენიალური მაშინ იქნები, როდესაც ნასწავლს განავითარებ. საკმარისია, ნებისმიერი პროფესიის ადამიანმა გაიფიქროს, რომ უკვე მიაღწია მიზანს და პროფესიონალია, ისტორიაში მხოლოდ ამ ერთი მიღწევით დარჩება. ჩვენს პროფესიაში კიდევ უფრო მეტი თავდადებაა საჭირო, ხელოვანი თუ შეცდომას დაუშვებ, ამით ამახინჯებ ერის, მნახველისა და ნებისმიერი ადამიანის სულიერებას.



– რამდენად მნიშვნელოვანია ხელოვანისთვის, რომ მოუსმინოს სხვას, გაიზიაროს რჩევები და შენიშვნები?

– ამის გარეშე, ყოველი საქმე ფუჭი მგონია, აუცილებელია, ნებისმიერი ადამიანის შეხედულება და განცდა ვიცოდეთ ხელოვანებმა, რადგან სხვა შემთხვევაში, ვერც შეფასდება ნაშრომი. კრიტიკა მნიშვნელოვანია ყველა პროფესიაში იმისთვის, რომ პროფესიონალიზმის მაღალ საფეხურზე გადავიდეს ადამიანი და შექმნას კიდევ უკეთესი, ვიდრე ქმნიდა. თუ კრიტიკას არ მიიღებ და მნიშვნელობა არ აქვს, ვინ ნახავს შენს ნამუშევარს, ან რა განცდით წავა დარბაზიდან, მაშინ ხატვას რა აზრი აქვს, ვინ ხარ და რა გინდა? ეს ჩვენი პროფესია, ძიება, მუშაობა და თვითკრიტიკაა, რომელიც აუცილებელია შემოქმედებაში. ბევრია კარგი მწერალი, მხატვარი და მუსიკოსი, მაგრამ გამორჩეულები ერთეულები არიან.

– თანამედროვე ხელოვნებას როგორ აფასებთ?

– 21-ე საუკუნეში ხელოვნება აგრესიული გახდა ისევე, როგორც სამყარო, შენ არ უნდა გახდე ამ დროს ნადავლი და არ უნდა გამოგიყენონ, როგორც ხელოვანი. მესმის, უნდათ რაღაც ახალი თქვან და რამე გააპროტესტონ, მაგრამ რა დანიშნულება აქვს ამას, სურთ, რომ ცნობილები გახდნენ, თუ არ იციან, როგორ გამოხატონ სწორად პროტესტი? ნახატი ლაპარაკობს შენს სულიერ სამყაროზე, ეს არის შენი დოსიე, ნებისმიერ პიროვნებას რომ ანახო მხატვრის 2-3 ნამუშევარი, ზუსტად გეტყვის, ვინ და როგორია. ვიწრო კუთხით არ უნდა იფიქრო, როდესაც რამეს ხატავ, იმ ნახატს ყველა ნახავს, ფილოსოფიურად უნდა შეხედო და სიღრმეებში უნდა შეხვიდე. სამყაროში უამრავი ულამაზესი რამაა, პროტესტის გამოხატვა ლამაზადაც შეიძლება. გასაგებია, რომ ბაზარი კარნახობს, ბევრია ისეთი, ვინც იმის გამო, რომ ნახატი გაყიდოს ან ცნობილი გახდეს, „მოდას“ მისდევს. ამით ვანადგურებთ იმას, რაც ჩვენთვის ძვირფასია და მომავალ თაობას ვუტოვებთ მხოლოდ აგრესიას და ნეგატივს. შეიძლება, დღეს დიდ აღიარებას მიაღწიო, მაგრამ ეს დროებითი იქნება. ხდება გადაფასება, ყველაფერი თავის ადგილას დაილექება და დაერქმევა თავისი სახელი. ჭეშმარიტი ხელოვნება ღირებულებებზე უნდა იყოს აგებული და ასე იქნება მარადიული. უდიდესი პასუხისმგებლობაა უფლისა და საზოგადოების წინაშე, რომ ნიჭი ღირსეულად და სწორი მიმართულებით გამოიყენო. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენი დიპლომი და სერტიფიკატი გექნება, მთავარი სულიერი ღირსება და განათლებაა.

მეოცე საუკუნის ბოლოს, ხელოვანებმა ატეხეს აჟიოტაჟი, რომ თანამედროვე ხელოვნება მოკვდა და არ ვითარდებაო. ხელოვნების განვითარება კი არ შეჩერდა, გამარტივდა, რადგან ჩვენ გამოფენაზე გამოტანილი უნიტაზი და ბანანის ქერქიც კი ვნახეთ. 21-ე საუკუნეში გაურბიან სირთულეებს და ეძებენ იოლ გზებს სათქმელის გამოსახატად. ხელოვანი ადამიანი არ უნდა ეძებდეს მარტივ გზებს, ამ შემთხვევაში, ნამუშევარი იქნება ფუჭი და ვერ მიაღწევს ადამიანის სულიერებამდე.

– ბატონო გოჩა, დამწყებ მხატვრებთან გაქვთ ურთიერთობა, ადევნებთ თვალს მათ შემოქმედებას?

– დიახ, რა თქმა უნდა, დღე არ გავა, წერილი არ დამხვდეს სოციალურ ქსელში. მიზიარებენ თავიანთ ახალ ნამუშევრებს და ელოდებიან ჩემს შეფასებას. თუ გამოფენა იმართება, მით უმეტეს, შეხვედრა მიწევს ბევრ ახალგაზრდასთან. არ მიმაჩნია, რომ ვინმესგან რამით გამორჩეული ვარ, ჩემს თავს არ მივცემ ამის უფლებას, მაგრამ რატომღაც ხშირად მომმართავენ რჩევისთვის. ზოგიერთისგან მე ვიღებ ინფორმაციას და ა.შ.

– რა ურჩევთ ახალგაზრდებს?

– შრომის გარეშე ვერაფერს მიაღწევს ადამიანი. ახალგაზრდას უფლისგან აქვს მომადლებული ნიჭი, მაგრამ შეიძლება, თავისი არასწორი საქციელით დაკარგოს. უფალი რასაც აძლევს ადამიანს, ის უნდა განავითაროს და კეთილად გამოიყენოს. თუ არ იშრომეთ, განვითარებას ვერ მიაღწევთ. ვურჩევდი, რომ იყვნენ შრომისმოყვარენი და ნუ დასჯერდებიან მხოლოდ ნიჭიერებას. ახალგაზრდები, რომლებიც თავს მიუძღვნიან ამ საქმეს, ემსახურონ ჭეშმარიტ ხელოვნებას, რაც სიკეთე და სიყვარულია.

გრენლანდია გლობალური დათბობით იხეირებს

ჩვენს პლანეტაზე არსებულ ყველაზე დიდ კუნძულზე გადაწყვიტეს, რომ გლობალური დათბობით ფული იშოვონ. ადგილობრივები მყინვარის წყლის მასობრივ გაყიდვებს იწყებენ. ჩინოვნიკები აცხადებენ, რომ კლიმატური ცვლილებები, ერთი მხრივ, მყინვარების დნობას იწვევს, მეორე მხრივ კი, პლანეტის სხვა წერტილებში ძლიერი გვალვის პროვოცირებას ახდენენ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, გვინდა, წყალი მივაწოდოთ იმ ადგილებში, სადაც მისი ნაკლებობაა. ყინულების წყლის ექსპორტზე ლიცენზია 9 გრენლანდიურმა კომპანიამ მოიპოვა. გასულ წელს, კუნძულზე მყინვარების რეკორდული დნობა აღინიშნა, მხოლოდ ივლისის ბოლოს, ერთ დღეში, ამ მაჩვენებელმა 12.5 მილიარდი ტონა შეადგინა.

ახალი სუპერანტიბიოტიკი შექმნეს

კანადელმა მკვლევარებმა ახალი ანტიბიოტიკი აღმოაჩინეს, მას შეუძლია დაძლიოს ის ბაქტერიებიც კი, რომლებიც რეზისტენტულნი არიან სხვა პრეპარატებისადმი. ნივთიერება, რომელსაც კორბომიცინი უწოდეს, ბლოკავს პათოგენებს და მათ გამრავლების საშუალებას არ აძლევს. თაგვბზე ჩატარებულმა კვლევებმა ცხადჰყო, რომ ახალი სუპერანტიბიოტიკი ამარცხებს სეფსისს და ინფექციებს, რომლებიც გამოწვეულია ოქროსფერი სტაფილოკოკით. აღსანიშნვია, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში, ანტიბიოტიკებისადმი მდგრადობას თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე დიდ საფრთხედ მიიჩნევენ. მის გამო, მსოფლიოში ყოველწლიურად, 700 ათასზე მეტი ადამიანი იღუპება.

კაკაო სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს

ამერიკელმა სწავლულებმა კაკაოს სასარგებლო თვისებებს ერთი კიდევ დაუმატეს და განაცხადეს, რომ ეს გემრიელი სასმელი სასიკეთო გავლენას ახდენს სისხლის მიმოქცევაზე ქვედა კიდურებში, აუმჯობესებს სისხლძარღვების მდგომარეობას და წვივის კუნთების ფუნქციას. სპეციალისტებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს პაციენტებზე, რომელთა ასაკი 60 წელს აღემატებოდა და რომელთაც პერიფერიული არტერიების დაავადებები აწუხებდათ. ამ დაავადების დროს, ფეხებში დარღვეულია სისხლის ცირკულაცია. მოხალისეთა ერთ ჯგუფს, ნახევარი წლის განმავლობაში, ყოველდღიურად, სამ ფინჯან ცხელ კაკაოს ასმევდნენ, მეორე ნახევარს კი – პლაცებოს. ექვსი თვის შემდეგ ჩატარებულმა ტესტებმა აჩვენა, რომ პირველ ჯგუფში მყოფ პაციენტებს მნიშვნელოვნად გაუუმჯობესდათ მდგომარეობა, მეორე ჯგუფთან შედარებით.

მუზეუმის ბილეთები – ეკოლოგიურობისთვის

ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, სპეციალური სერვისი – აპლიკაცია ამოქმედდება. აპლიკაცია დაითვლის არწარმოქმნილ CO_2-ს და მომხმარებელს ქალაქის მუზეუმისა და თეატრის ბილეთებს აჩუქებს. აპლიკაცია Culture Token, შეუძლია ნებისმიერმა მსურველმა ჩამოტვირთოს და დარეგისტრირდეს. სერვისი თვალს მიადევნებს მფლობელის გადაადგილებას და დაითვლის, რამდენი კილომეტრი გაიარა ფეხით, ველისოპედით ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით. ყოველ 20 კილომეტრზე, რომელსაც მომხმარებელი გაივლის პირადი ავტომობილის გარეშე, ერთი ქულა ჩაირიცხება, ქულებს კი ბილეთებზე გადაცვლიან – ერთი ქულა, ერთი ბილეთი. დღეისთვის, ამ პროგრამის პარტნიორები არიან თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი კუნსჰალში, ვენის მუზეუმი, ვენის სახალხო თეატრი და კლასიკური მუსიკის ცენტრი კონცერტჰაუსი.

მარსზე სტუმრობა შვიდ წელიწადში შედგება

2029 წელს, ადამიანები შეძლებენ მარსზე ფეხის დადგმას, – ასე მიაჩნია მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანს და წითელი პლანეტის ათვისების ენთუზიასტს, ილონ მასკს. ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში, მან განაცხადა, რომ გაოცებული დარჩება, თუკი ხუთი წლის განმავლობაში, ადამიანი მარსზე ვერ მოხვდება. მასკმა დაწვრილებით აღწერა საკუთარი გეგმები – ისეთი ქალაქების მშენებლობა, რომლებიც თავად უზრუნველჰყოფენ თავს, მზის ბატარეებზე მომუშავე ჰიდროპონური ფერმებით. ეს ფუტურისტული ნოეს კიდობანივით იქნება, – ამბობს მასკი. წითელ პლანეტაზე პირველი მოსახლეების ჩასაყვანად, მასკის კომპანია SpaceX-მა, პლანეტათშორის ხომალდზე – Starship მუშაობა უნდა დაასრულოს.

მექანიკური ბალიში დაგამშვიდებთ

თუკი ადრე აფორიაქებული და აღელვებული ადამიანი დამშვიდებას ახლობელთან ჩახუტებით ცდილობდა, ამჟამად, პანდემიის გამო, ამგვარ ქმედებას ერიდება. თუმცა, გამოსავალი აქაც გამოჩნდა – ახლა მექანიკურ „სუნთქვის ბალიშს“ ჩავეხუტებით და შფოთვაც შეგვიმსუბუქდება. იფიქრებთ, რომ ბალიში ადამიანს ვერ ჩანაცვლებს, მაგრამ როცა მის „სუნთქვას“ იგრძნობთ, წარმოდგენა ნამდვილად შეგეცვლებათ. ამ მექანიკური ბალიშის ავტორები ბრისტოლის უნივერსიტეტის სწავლულები არიან. სასურველი ეფექტი რომ მიეღოთ, რათა ჩახუტება ადამიანისას მეტად დამსგავსებოდა, გულისცემა და კონკრეტული ხმების დამატებაც სცადეს, თუმცა ყველაზე ეფექტური მაინც „სუნთქვა“ გამოდგა. მოხალისეებზე ჩატარებული ცდებით დაადგინეს, რომ ბალიშთან ჩახუტება ადამიანებს მეტად ამშვიდებდა.

ძაღლს ნახევარმილიონიანი საყელური აჩუქა

ლონდონში მცხოვრებმა ბრიტანელმა იუველირმა, ნატალი კნაუფმა ძაღლის საყელური დაამზადა, რომლის ღირებულებაც 500 ათასი გირვანქა სტერლინგია. ძვირფასი საყელური ნატალიმ საკუთარი საყვარელი ოთხფეხა მეგობრისთვის – პომერანული შპიცისთვის გააკეთა. კნაუფის საყვარელი ძაღლი პოლი ახლა ამ საგანძურით დასეირნობს – საყელურს 91 ბრილიანტი ამშვენებს, თითოეულის წონა კი 15 კარატია. ნატალის თქმით, ძაღლები ადამიანებზე ნაკლებად არ იმსახურებენ, ლამაზად გამოიყურებოდნენ. იუველირი აღიარებს, რომ საყელური ძალიან ძვირი დაუჯდა, მაგრამ დარწმუნებულია, პოლი საუკეთესოს იმსახურებს და მზადაა, საყვარელი ძაღლი მომავალშიც გაანებივროს. ძვირფასი თვლებით გაწყობილ აქსესუარს ძაღლის პატრონი მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევებისთვის იყენებს. საამისოდ შპიცს მცველიც დაუქირავა, რომელიც ძაღლისა და ბრილიანტის საყელურის უსაფრთხოებაზე ზრუნავს.

ყველაზე ბედნიერები ისევ ფინელები არიან

ეს სკანდინავიური ქვეყანა, უკვე ზედიზედ მეხუთე წელია, მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ქვეყნების რეიტინგში, ლიდერის პოზიციას იკავებს. ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებულ World Happiness Report-ში, ბედნიერ ათეულში მოხვდნენ დანია, ისლანდია, შვეიცარია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, შვედეთი, ნორვეგია, ისრაელი და ახალი ზელანდია. აშშ-მა, ამჯერად, მე-16 პოზიცია დაიკავა, დიდი ბრიტანეთი მე-17 ადგილზეა, მე-20 ადგილი ხვდა საფრანგეთს. სამწუხაროდ, საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ბოლო ადგილზეა, რეიტინგში კი 105-ე ადგილს იკავებს. სიის ბოლო ადგილებზე არიან ავღანეთი და ლიბანი.

ბერლუსკონი კიდევ ერთხელ დაქორწინდა

იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, 85 წლის სილვიო ბერლუსკონი კიდევ ერთხელ დაქორწინდა. ამჯერად, მისი რჩეული პარლამენტის 32 წლის დეპუტატი, მარტა ფაშინა გახდა. აღსანიშნავია, რომ უკვე ორი წელია, წყვილი ერთად ცხოვრობს. მარტა ბერლუსკონისთან საცხოვრებლად მაშინ გადავიდა, როცა ექს-პრემიერს 34 წლის ფრანჩესკა პასკალესთან ჯერ კიდევ ჰქონდა ურთიერთობა, რომელიც 9 წელი გრძელდებოდა. სკანდალებით ცნობილმა პრემიერმა და დეპუტატმა სიმბოლური ქორწილი გადაიხადეს და ქორწინების ფიცი დადეს. ოფიციალური ცერემონიის წინაღმდეგი ბერლუსკონის შვილები იყვნენ, რადგან მამის გარდაცვალების შემდეგ, მარტას მემკვიდრეობიდან სოლიდური თანხის მიღება შეუძლია. ქორწილი ლეზმოს კომუნაში, ისტორიულ ვილაზე შედგა. პატარძალს ანტონიო რივას მდიდრული საქორწინო კაბა ეცვა – ოთხმეტრიანი შლეიფით, სიძე კი არმანის ლურჯ პიჯაკში იყო გამოწყობილი. იტალიური მედიის ცნობით, ცერემონია ცნობილმა დიზაინერებმა გააფორმეს, ქორწილს ექს-პრემიერის შვილებიც ესწრებოდნენ.

„ინსტაგრამის“ ნაცვლად „როსგრამი“

რუსეთის ხელისუფლებამ საკუთარ მოქალქეებს სოციალური ქსელები – „ინსტაგრამი“ და Facebook-ი დაუბლოკა. საზოგადოების ნაწილისთვის განსაკუთრებით „მტკივნეული“ „ინსტაგრამთან“ გამომშვიდობება აღმოჩნდა და არაერთი ვიდეო გავრცელდა ატირებული ინფლუენსერებით. შეწუხებული მოქალაქეების დამშვიდება რუსეთში იმით გადაწყვიტეს, რომ „ინსტაგრამის“ ანალოგიური სოციალური ქსელი შექმნეს და მას „როსგრამი“ უწოდეს. ვარაუდობენ, რომ მის გამოყენებას მსურველები აპრილიდან შეძლებენ. როგორც ავტორები აცხადებენ, „როსგრამს“ ექნება „ინსტაგრამის“ ანალოგიური ფუნქციები, მათ შორის, მონეტიზაციის შესაძლებლობაც.

ჭურჭელი ზარმაცებისთვის

შვედური დიზაინერული ფირმა Tomorrow Machine-ის სპეციალისტებმა იმ მილიონობით ადამიანის ოცნება აასრულეს, რომელთაც ჭირივით ეზარებათ ჭურჭლის გარეცხვა. მათ შექმნეს თეფში და ჯამი, რომელიც თავისით ირეცხება. საიდუმლო კი სუპერ-ჰიდროფობულ საფარშია, რომლითაც ჭურჭელია დაფარული და რომელიც ნებისმიერ ჭუჭყსა და სითხეს "უკან აგდებს". ამ პროექტის ინიციატორია შვედეთის მრეწველობის ფედერაცია, მის ფარგლებში, დიზაინერულმა ფირმამ და სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა სამი პროდუქტი შექმნეს, რომლებიც ცელულოზას გამოყენების პოტენციურ შესაძლებლობებს წარმოაჩენს. თვითრეცხვადი ჭურჭელი მსუბუქი, მაგრამ მტკიცე მასალისგანაა დამზადებული, ის სპეციალური საფარითაა დაფარული, რომელიც ჭუჭყსა და წყალს არ იღებს და შესაბამისად, არც რეცხვა სჭირდება. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში, შემუშავდა მასალაც, რომელიც შეიძლება 3D-პრინტერზე დაიბეჭდოს და სხვადასხვა ფორმა მიეცეს. ამავე ფირმის დიზაინერებმა ნანოცელულოზასგან სენსორული ეკრანიც შექმნეს.

რა განსაზღვრავს სიცოცხლის ხანგრძლივობას

სწავლულებმა დაადგინეს, რომ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე გავლენა არა მეტაბოლიზმს, არამედ, სხეულის ტემპერატურას აქვს. ადამიანები, რომელთაც სწრაფი და რისკშემცველი ცხოვრების წესი აქვთ, უფრო ხშირად ხვდებიან ავარიებში და გარდაცვალების ალბათობაც, რასაკვირველია, იზრდება. ბიოლოგიაში კი იგივე პროცესი ასე მიმდინარეობს: ცხოველები, რომელთაც მეტაბოლიზმის მაღალი მაჩვენებელი აქვთ, უფრო ადრე კვდებიან, ვიდრე ნელი მეტაბოლიზმის მქონეები. მართალია, კალორიების შეზღუდვა თუ ვარჯიში დაბალი მეტაბოლიზმის მაჩვენებლებს განაპირობებს, თუმცა ამას ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე დიდი გავლენა არ აქვს. მეტაბოლიზმის ეფექტისთვის ამის მიზეზად სხეულის ტემპერატურა ითვლება. ამის დასადასტურებლად მკვლევარებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს მღრღნელებზე. აღმოჩნდა, რომ დაბალი მეტაბოლიზმი არ ახანგრძლივებდა მათ სიცოცხლეს, მაღალი ტემპერატურა კი ამცირებდა მას. გამოდის, რომ სხეულის ტემპერატურა უფრო მეტ გავლენას ახდენს სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, ვიდრე მეტაბოლიზმის მაჩვენებლები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა შშმ პირებთან კომუნიკაციის ეტიკეტის შესახებ ტრენინგი გაიარეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებისთვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან კომუნიკაციის ეტიკეტის შესახებ ტრენინგი ჩატარდა.

სწავლების მონაწილეებმა ინფორმაცია მიიღეს შემდეგ საკითხებზე: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან კომუნიკაციის არსი; შეზღუდული შესაძლებლობისადმი პოზიტიური დამოკიდებულება; დისკრიმინაციის დაუშვებლობა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის სტანდარტი და სხვ.

ტრენინგი პროექტის – „შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიანი მომსახურების ცენტრისა და მომსახურების სააგენტოს ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერა გაუმჯობესებული საჯარო მომსახურების მიწოდების მიზნით – მეორე ფაზა“ – ფარგლებში გაიმართა.

პროექტი გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) უფრო ფართო ინიციატივის – „საჯარო მმართველობის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში – ფაზა 2“– ნაწილია, რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობის მხარდაჭერით ხორციელდება.

აღნიშნული პროექტის დანერგვას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2021 წლიდან უზრუნველყოფენ ადგილობრივი კომპანიები – GEC და რეფორმებისა და ინოვაციების ცენტრი.

პროექტი მიზნად ისახავს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიანი მომსახურების ცენტრსა და მომსახურების სააგენტოს ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანზე ორიენტირებული საჯარო სერვისების ეფექტური და ინკლუზიური მიწოდება.

შინაგან საქმეთა მინისტრი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ელჩს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა, საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, მარკ კლეიტონთან შეხვედრა გამართა.

მხარეებმა საქართველოსა და გაერთიანებული სამეფოს სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებული მჭიდრო და ეფექტიანი საპოლიციო თანამშრომლობის შესახებ ისაუბრეს. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა შავი ზღვის უსაფრთხოების გაძლიერებაზე, ასევე, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ნატოს საზღვაო შენაერთებისა და ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული საპორტო ვიზიტების მნიშვნელობაზე.

მარკ კლეიტონმა ვახტანგ გომელაურს გააცნო კიბერუსაფრთხოების მიმართულებით დაგეგმილი ახალი პროექტი, რომელიც უახლოეს მომავალში დაიწყება. როგორც ელჩმა განაცხადა, აღნიშნული პროექტი კიდევ ერთხელ ადასტურებს დიდი ბრიტანეთის მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ.

შეხვედრის დასასრულს, მინისტრმა ელჩს მადლობა გადაუხადა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებაში აქტიური მხარდაჭერისთვის.

შინაგან საქმეთა მინისტრმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსთან გაცნობითი შეხვედრა გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროს ლელა ჯანაშვილთან გაცნობითი შეხვედრა გამართა. შეხვედრას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე დარახველიძე და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე, ოთარ ჩახუნაშვილი დაესწრნენ.

ვახტანგ გომელაურმა ლელა ჯანაშვილს თანამდებობაზე არჩევა მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის როლს საგამოძიებო მოქმედებების მონიტორინგის მიმართულებით და უწყებებს შორის კოორდინაციის მექანიზმების მნიშვნელობას.

ვახტანგ გომელაურმა შეხვედრის ბოლოს იმედი გამოთქვა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის არსებული თანამშრომლობა კიდევ უფრო განმტკიცდება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.